გაზეთი ხალხის, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№108 (1003) 7 - 9 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


## ნაციონალებმა ჩანერგილების ამოქმედება დაიწყეს




გვ. 5

ვინ და რატომ ემუქრება გადაყენებით გარდაბნის გამგებელს

# „კიდევ ბევრ სიურპრიზს გაიგებთ ირაკლი ალასანიას შესახებ“

## ნიკა მჟავანაძე თავდაცვის ექსმინისტრს უჩივის

გვ. 3

რა გარიგება შედგა ალასანია-ახალაიებს შორის და რას ყვება დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერზე



## ჯარისკაცების კვების სკანდალის ახალი დეტალები

როგორ მოაგებინა თავდაცვის ექსმინისტრმა ტენდერი ციხიდან ახალგამოსულ მეგობარს

**ეკატერინე ლიფონავა** ... 

გვ. 5

## „პრემიერ-მინისტრს პოლიტიკური შანტაჟის ბერკეტი არ აქვს“

შეიქმნება თუ არა ახალი უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში და დაითხოვს თუ არა პრეზიდენტი პარლამენტს ან მთავრობას



## „კოლექტიური შიხიაშვილები“ ანუ ქართული ოცნების „ლურჯი მელიები“

საპარლამენტო უმრავლესობის საყრდენი — უპარტიო მაჟორიტარების ფრაქცია პარლამენტში

## „ფონდი ნატახტარი“ წლის საუკეთესო სოციალურ პროექტად დასახელდა

გვ. 9

## თიბისი ბანკი TBC BANK ლიზინგში 4 000 000 აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი გაიხსნა

გვ. 8

## სოფოსბუვირი — პანაცეა თუ ფუფუნების საგანი

ვისთვის იქნება ხელმისაწვდომი პრეპარატი C ჰეპატიტის წინააღმდეგ

# „ჩვენ გვსურს, საქართველო ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოდ ვაქციოთ“



**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი CNN-თან ინტერვიუში აცხადებს, რომ სურს, ქვეყანა ევროკავშირის ნამდვილი წევრი-სახელმწიფო გახადოს. რუსეთთან ტერიტორიული დავის შემდეგ საქართველომ თავისი ეკონომიკური ბედი და მომავალი ბრიუსელს დაუკავშირა და ივნისში ხელი მოაწერა თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებას ევროკავშირთან. ჩვენ მივმართეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს კითხვით, რას ნიშნავს ეს შეთანხმება მისი ქვეყნისთვის.**

— ამ ხელშეკრულების ხელმოწერას ვუწოდებთ ჩვენს დაბრუნებას დიდ ევროპულ ოჯახში. რატომ? — იმიტომ, რომ გვაქვს საზიარო კულტურა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ღირებულებები. გვსურს უკეთეს საქართველოში ცხოვრება და ჩვენ მართლაც გვინდა, ვაქციოთ ეს ქვეყანა ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოდ.

**— ვიხსენებ 2008 წლის იანვრის რეფერენდუმს, მაშინაც კი მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტს სურდა ნატო-ს წევრობა და ახლაც რჩება ამის მომხრე 80%. მაგრამ ეს არ იწვევს მოსკოვის პროვოცირებას? არ ძაბავს ეს თქვენს შორის ურთიერთობას უფრო მეტად?**

— საქართველოს სწრაფვა არ წარმოადგენს ნაბიჯს ვინმეს წინააღმდეგ, რუსეთის ჩათვლით. ვფიქრობ, რუსეთის ინტერესსაც წარმოადგენს, ჰქონდეს მშვიდობა და სტაბილურობა სამეზობლოში.

**— გარედან ჩანს დიდი დაძაბულობა და პოლიტიკური ანგარიშსწორება წინა ხელისუფლების მიმართ: ყოფილი პრემიერ-მინისტრი პატიმრობაშია, არსებობს ბრალდებები ყოფილი პრეზიდენტის მიმართ... ხომ არ იქნებოდა უკეთესი, დაგესრულებინათ ეს?**

— ჩვენ ვართ მოტივირებულნი, ავაშენოთ რეალური ევროპული დემოკრატია აქ, ჭეშმარიტი დემოკრატია, რომელიც ემსახურება ყველას, თითოეულ და ყველა მოქალაქეს და რომელშიც არავინ დგას კანონზე მაღლა. ეს ჩვენი პრინციპული პოზიციაა ამ საკითხზე. ამიტომაც, ეს ნამდვილად რთული გასაგებია, რადგანაც ასობით და ათასობით მძიმე დანაშაული იყო ჩადენილი ამ 9-10-წლიან პერიოდში. და ეს საქმეები უნდა გამოვიძიოთ, მაგრამ ეს არის პროკურატურის სამუშაო, დამოუკიდებელი სასამართლოს საქმე და მოდი, მათ მივანდოთ გადაწყვეტილება

**— ამრიგად, თქვენ უძღვებით მთავრობას უკვე ერთი წელია, ვხედავ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი ძალიან ნელა იკრეფს ძალას არჩევნების შემდეგ. რატომ?**

— როდესაც ყოფილი პრეზიდენტი წავიდა, როდესაც ავირჩიეთ ახალი პრეზიდენტი, დავასრულეთ ეს ციკლი თავისუფალი და სამართლიანი ადგილობრივი არჩევნების ჩატარებით და შემდეგ დაიწყო ინვესტიციების ახალი ფაზა.

**— თქვენ ხართ თჩ ნავთობსადენის საკვანძო სატრანზიტო პუნქტი, ასევე აშენდება სამხრეთის დერეფნის გაზსადენი, რომელიც შეიძლება გაიხსნას უკვე 2019 წელს. ხომ არ წარმოადგენს ეს თქვენთვის უნიკალურ აქტივს, რომლის წყალობითაც გექნებათ პოლიტიკური მხარდაჭერა შეერთებული შტატებისა და ევროპის მხრიდან, ანუ სწორედ იმ როლის, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი როლის გამო, რომელსაც საქართველო თამაშობს?**

— დიახ, იმიტომ, რომ ესაა ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დაუკავშირებს კასპიის ზღვას და მის რესურსს ევროპის ბაზარს, ევროპულ ქვეყნებს. ამდენად, საქართველო რჩება სტაბილურ და საიმედო სატრანზიტო ქვეყანად.

*„პირველი“*



## „თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია „ქართულ ოცნებაში“ გადავიდა

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ და ოზურგეთის მუნიციპალური საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი კვერღელიძემ პარტია დატოვა. ეს ნაბიჯი მან ამგვარად ახსნა: **„მე პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ და პარტიის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება კოალიციის დატოვების შესახებ ჩვენთან კონსულტაციის გარეშე არ უნდა მიეღო. ამის გამო იძულებული ვარ, დავტოვო „თავისუფალ დემოკრატთა“ რიგები“.**

კვერღელიძის განცხადებით, პარტია მთლიანად დატოვა ოზურგეთის საკრებულოს ფრაქციამ — ოთხმა დეპუტატმა და პარტიის უმრავლესობამ.

ამასთან, მან კოალიციის დატოვებასთან დაკავშირებით ალასანიას გუნდის გადაწყვეტილებას უპასუხისმგებლო უწოდა. მისი თქმით, პარტიაში რჩება მცირე ნაწილი, მათ შორის ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს წევრი თემურ სალუქვაძე.

*„პირველი“*




## საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს გასული თვის მდგომარეობით:

2014 წლის ოქტომბერი 469 930 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე -2,4 %-ით ნაკლებია.

რაც შეეხება იანვარ-ოქტომბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4 657 525 ვიზიტი განხორციელდა, რაც 1,7%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი — 1 932 492 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 41,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 9%);

ბ) ტრანზიტი — 938 667 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 20,1%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -8%);

გ) სხვა — 1 786 366 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,4%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -0,1%).

2014 წლის ოქტომბერში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-11%), აზერბაიჯანიდან (+7%), სომხეთიდან (+4%), რუსეთიდან (+2%) და უკრაინიდან (-13%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ოქტომბერშიც კვლავ ტრადიციულად გამოირჩნენ: ლიტვა, პოლონეთი, ლატვია, დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები (შესაბამისად 83%, 32%, 23%, 12% და 10%), შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთი (37%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი — ბელორუსის მოქალაქეები 49% მატებით.

*„ვერსიანიუსი“*

ვერსიანიუსი

## საქართველოს უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრი პიტერ სიიარტო ეწვევა



7 ნოემბერს, საქართველოს, ოფიციალური ვიზიტით, უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრი პეტერ სიიარტო ეწვევა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში პიტერ სიიარტო საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს, ენერგეტიკის მინისტრს, ვიცე-პრემიერ კახი კალაძეს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს შეხვდება.

პიტერ სიიარტო ასევე შეხვედრას გამართავს საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილესთან თამარ ბერუჩაშვილთან.

ვიზიტის ფარგლებში განიხილავენ ორმხრივი ურთიერთობისა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებს.

უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრი პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას და გვირგვინით შეამკობს გმირთა მემორიალს.

*„ინტერპრესნიუსი“*

## გერმანიის მთავრობამ საქართველოსთან ასოცირების შეთანხმება რატიფიცირებისთვის ბუნდესტაგს წარუდგინა

საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვასთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების შესახებ კანონპროექტი გერმანიის მთავრობის კაბინეტმა უკვე მოიწონა. გერმანიის მთავრობის კაბინეტის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, ამ შეთანხმებას აღნიშნულ სამ ქვეყანაში დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების საკითხში უდიდესი წვლილი შეაქვს.

ამ ეტაპზე საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, მალტისა და სლოვაკეთის პარლამენტებში მოახდინეს.



*„პირველი“*

პოზიცია



# ნიკა მჟავანაძე თავდაცვის ექსმინისტრს უჩივის

## რა გარიგება შედგა ალასანია-ახალაიებს შორის და რას ყვება დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერზე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ირაკლი ღარიბაშვილმა 6 ნოემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე პოსტებზე დარჩენილ მინისტრებს მუშაობის ეფექტურად გაგრძელებისკენ მოუწოდა და საინტერესო განცხადებაც გააკეთა ირაკლი ალასანიაზე: „ეს იქნება კიდევ ერთი შემარცხვენელი პირადად ალასანიასა და მისი თანაგუნდელებისთვის, რომლებიც ბევრ სიურპრიზს გაიგებენ მის შესახებ“. ეს სიურპრიზები ღარიბაშვილს თავად არ დაუკონკრეტებია, სამაგიეროდ, განცხადებას „უფლებათდამცველთა გაერთიანების“ ლიდერი ნიკოლოზ მჟავანაძე ეხმაურება, რომელიც „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ერთ-ერთი შესაძლო სიურპრიზის შესახებ აქვს ინფორმაცია. როგორც ირკვევა, მჟავანაძემ ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ პროკურატურას ჯერ კიდევ მისი მინისტრობის დროს მიმართა. ამჯერად, იგი საგამოძიებო ორგანოს „ვერსიაში“ გაკეთებული საჯარო განცხადებით დაინტერესებასა და გამოძიების დაწყებას სთხოვს.**

— ჩვენ შევიტანეთ განცხადება პროკურატურაში 2012 წლის არჩევნების შედეგებზე, რადგან რეალურად, ირაკლი ალასანია როლანდ ახალაიას გაურიგდა და სამეგრელოში არჩევნების შედეგები „გაყიდა“. შედგა შეთანხმება, რომ ალასანიას უნდა წაეგო მთელი სამეგრელო, განსაკუთრებით კი ზუგდიდი. ეს რაიონი ახალაიას უნდა მოეგო და ამით სადეპუტატო მანდატი და, შესაბამისად, ხელშეუხებლობა მოეპოვებინა. სწორედ ეს უშლის დღეს ხელს პროკურატურას, რომელიც ახალაიას ბრალს ვერ უყენებს, რადგან სადეპუტატო იმუნიტეტი იცავს. ამის მტკიცების საფუძველი მაქვს, რადგან დამიკავშირდა ადამიანი, რომელმაც საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა. ამის შესახებ მას დაზვერვის ყოფილმა თანამშრომლებმა უამბეს. ამ ადამიანმა კი მე მათი საუბრის ვიდეოჩანაწერი გადმომცა. ეს ჩანაწერი ჩემს განცხადებას დავურთე და დაახლოებით 6 თვის წინ პროკურატურაში შევიტანე.

**— რა იყო ამ ვიდეოჩანაწერში?**

— ის ფული, 2 მილიონი, რაც სამეგრელოს არჩევნებისთვის გამოიყო, ირაკლი ალასანიამ ჩაიჯიბა. მან თანხა არჩევნებს კი არ მოახმარა, მიითვისა და ნაციონალურ მოძრაობასთან სხვა გარიგებებზეც წავიდა — ალასანია პირისპირ რამდენჯერმე შეხვდა ახალაიების კლანს ზუგდიდში!

**— ეს ყველაფერი დღევანდელ მოვლენებთან რა კავშირშია?**

— მაშინ ეს ყველაფერი სისულელედ მიიჩნიეს, მაგრამ დღეს ჩანს, რომ მართალი ვიყავი. მეტიც, ირაკლი ალასანიას ამ ვიდეოჩანაწერში ბრალს სდებენ თურქეთის საზღვარზე ახალაიების გადაყვანაშიც. ცნობილია, რომ გარკვეული ვოიაჟები თურქეთში მასაც ჰქონდა.

**— ამ სარჩელს რა ბედი ეწია?**

— ამ საქმეს მსვლელობა არ მისცემია, როგორც, თავის დროზე, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებისა და ტენდერების შემთხვევაში მოხდა. ახლა ყველაფერი ნათელი ხდება — ირაკლი ალასანია ნაციონალებთან ახლო ურთიერთობაშია და ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. აქ საქმე უშუალოდ ალასანიამდე მიდის და სისხლის სამართლის დამნაშავეც შეიძლება აღმოჩნდეს. დღეს იგი უკვე ღიად საუბრობს ნაციონალებთან თანამშრომლობაზე. გასაგებია, რომ ამ პარტიის ლიდერი ვერ გახდება, მაგრამ მისი ამ პროცესებში ჩართვა და განცხადებები, რომ საქართველო ევროპულ გზაზე არ დგას, ბევრ რამეზე მეტყველებს. ამ ბრალდებებს ალასანიას მე კი არა, დაზვერვის ყოფილი თანამშრომლები უყენებენ. ამის შესახებ ვიდოჩანაწერებში პირდაპირი განცხადებებია. ამ ადამიანის ვინაობის დასახელება, ჯერჯერობით, არ შემიძლია, თუმცა პროკურატურაში გადაგზავნილ განცხადებაში მითითებულია. როგორც ვიცი, ეს ადამიანი დღემდე დაკითხული არაა. თუმცა, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა კიდეც, ირაკლი ალასანიაზე კიდევ ბევრ სიურპრიზს ნახავთო. დიდი ალბათობით, ერთ-ერთი სიურპრიზი ესეც იქნება! მაქვს ინფორმაცია, რომ ჯარში ბაჩო ახალაიას მეგობრები კვლავ მოწინავე პოზიციებს იკავებენ. ქართულ ჯარს ტყვია-წამალი საერთოდ არ აქვს. საბრძოლო ტექნიკა გაუმართავია, რადგან მათ სათანადოდ არ უვლიან. ადრე არსებობდა ჰაუბახტის სისტემა, რომელიც ჯარში აღარ გამოიყენება და წესდება ფულადი ჯარიმები. ამის შედეგად, ჯარისკაცებს 4, 5 თვე ხელფასიდან 40%-ს აკლებდნენ. ეს სპეციალურად კეთდებოდა, რათა ისინი ხელისუფლებაზე განაწყენებულიყვნენ. ასევე, ჩვენი ჯარისკაცები ავღანეთსა და სხვადასხვა სამხედრო მისიებში მონაწილეობისას, მათთვის გამოყოფილ თანხებს ვერ იღებდნენ. თანხები, რაც მათ კვებასა და სხვა საჭიროებებზე გამოიყოფოდა, სამინისტროში რჩებოდა.

**— ეს მძიმე ბრალდებებია, რასაც დადასტურება სჭირდება. საიდან გაქვთ ასეთი ინფორმაციები?**

— უცხოეთში მყოფი ადამიანებისგან, ამ ჯარისკაცების მშობლებისგან... სხვათა შორის, როცა ეს განცხადებები თქვენს გაზეთში დაიბეჭდება, გამოძიება ავტომატურად დაიწყება — დანაშაულის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გაჟღერების შემდეგ, პროკურატურა ვალდებულია, მოკვლევა დაიწყოს. ალასანია კოალიციაში შენიღბულად შევიდა, ეს ნაციონალების დაკვეთა იყო. ახლა მას უბრალოდ დაასწრეს და გადააყენეს, თორემ ჩემი ინფორმაციით, აპირებდა, ჯარი სახელმწიფოს წინააღმდეგ განეწყო — მისი მიზანი ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით ცვლილება იყო!

პოლიტიკა

# დავით უსუფაშვილი მზადაა, გიორგი მარგველაშვილს უმასპინძლოს

რუსუდან შელია
557-100-768

კოალიციამ ერთი პოლიტიკური სუბიექტი, საპარლამენტო უმრავლესობამ კი, 10-კაციანი ფრაქცია დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ 5 ნოემბერს „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში საგანგებოდ დანიშნულ პოლიტსაბჭოს სხდომას ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ გაერთიანება დატოვეს. სწორედ სხდომიდან გამოსულმა ირაკლი ალასანიამ გაუმხილა მედიის წარმომადგენლებს, რომ შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილიც იმყოფებოდა: **„აქ ბიძინა ივანიშვილთან სასაუბროდ არ მოვსულვარ, კოალიციის პარტნიორებთან საუბარს ვგეგმავდი, თუ რა იყო „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ გადადგმული ნაბიჯის გამომწვევი მიზეზები. სამწუხაროდ, ეს საუბარი ვერ შედგა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პოლიტიკური ცხოვრება „თავისუფალ დემოკრატებს“ მისცემს შანსს, საზოგადოებასთან ერთად საქართველოს სამსახურში ყოფნა გააგრძელონ“.** როგორც კულუარებში ითქვა, ბიძინა ივანიშვილმა დახურულ შეხვედრაზე თავდაცვის ყოფილ მინისტრს კორუმპირებული რამდენჯერმე უწოდა და ალასანიას გუნდს მოუწოდა, ლიდერისთვის ხელი არ დაეფარებინათ, მაგრამ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ სხდომაზე მხოლოდ ათი წუთი დაჰყვეს...

პოლიტსაბჭოს სხდომის პარალელურად, იუსტიციის სამინისტროში საგანგებო ბრიფინგი დაინიშნა. იმის გათვალისწინებით, რომ ასე დაგეგმილ საგანგებო ბრიფინგებზე მაია ფანჯიკიძემ და მისმა მოადგილეებმა თანამდებობა დატოვეს, გაჩნდა ეჭვი, რომ იუსტიციის მინისტრის პოსტიდან თეა წულუკიანიც გადადგებოდა, თუმცა ამ უკანასკნელმა ყოფილი თანაპარტიელების ნაცვლად, ირაკლი ღარიბაშვილის გუნდს უერთგულა: **„მანამ არ მაქვს და არ მქონია საფუძველი მეფიქრა, რომ ჩვენი მთავრობა პროევროპული მთავრობა არ არის, მე და ჩემი გუნდი იუსტიციის სამინისტროს სათავეში ვრჩებით და საქართველოს ხელისუფლებისთვის მუშაობას ვაგრძელებთ. არასდროს, არც ერთი და არც მეორე პრემიერ-მინისტრის მხრიდან, არასდროს — არც მოქმედ მინისტრებთან და არც აწუკვე ყოფილ მინისტრებთან აზრთა სხვადასხვაობა ევროპულ არჩევანზე არ ყოფილა. 2012 წელს ხელისუფლებაში მოსული ძალა იყო და არის ევროპული კურსის ერთგული“.**

მორიგი საგანგებო ბრიფინგი რამდენიმე საათში პრეზიდენტმაც გამართა, სადაც გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტს უახლოეს სხდომაზე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ნატოს-თან არსებითი პაკეტის ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესის განხილვა შესთავაზა.

6 ნოემბერსაც მთავრობის სხდომის მთავარი თემა, ბუნებრივია, მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული ცვლილებები იყო, თუმცა ამჯერად, პრემიერი ირაკლი ალასანიაზე მკვეთრ შეფასებებსაც არ მოერიდა და მას „ავანტიურისტი“ და „უჭკუო“ უწოდა: **„მოსახლეობას მოვუწოდებ, დამშვიდდნენ, რეალურად არაფერი ხდება — ერთი ავანტიურისტი, უჭკუო და ამბიციური მინისტრი ჩამოშორდა მთავრობას, ამით ცუდიც არაფერი მომხდარა. ერთადერთი მინისტრი, რომელიც ღიად ლობირებდა და მფარველობდა ნაციონალებს ირაკლი ალასანია იყო, დაწყებული გიგი უგულავათი, ბოკერიათი... ასე რომ, ჩემში ყველა კითხვას აქვს პასუხი“.**



ბრიფინგების სერია 6 ნოემბერს პარლამენტის თავმჯდომარემაც გააგრძელა. თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში 12 საათზე დაგეგმილ ბრიფინგზე დავით უსუფაშვილი მინისტრების გათავისუფლება-გადადგომის ფაქტს გამოეხმაურა და ყოფილ თანაგუნდელებთან ერთად პროკურატურასაც „სიჩქარე“ დაუწუნა: **„შეიძლებოდა თუ არა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ისე, რომ მას ამგვარი პოლიტიკური კატაკლიზმები არ მოჰყოლოდა? – რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ პროცესის ყველა მონაწილე, ნებით თუ უნებლიედ, ზედმეტად აჩქარდა და ამიტომ შეიქმნა პრობლემები, რაზეც დღეს ვსაუბრობთ. ამ პროცესში გამოიკვეთა ერთი კონკრეტული საკითხი, რომელზეც კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლისტაბჭოზე ვიმსჯელეთ. საქმე ეხება სამართალდამცავი სისტემის, კერძოდ, პროკურატურის პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრში აღმოჩენისგან დაცვას. ამიტომ მალე გადავდგამთ ნაბიჯებს, რათა იუსტიციის მინისტრს, ვის უშუალო უწყებრივ დაქვემდებარებაშიცაა პროკურატურა, სათანადო სამართლებრივი ბერკეტები მიენიჭოს და მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეებს პოლიტიკურ საკითხებზე განმარტებები ან რაიმე პოზიციების დაფიქსირება არ უწევდეთ. ეს არ არის სასარგებლო არც მართლმსაჯულებისთვის და არც პოლიტიკისთვის“.**

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელები თავდაცვის სამინისტროში სამი მაღალჩინოსნის დაკავების დღიდან ირაკლი ალასანიას სოლიდარობას უცხადებენ, პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე დავით უსუფაშვილმა „თავისუფალი დემოკრატების“ აზრი არ გაიზიარა და ქვეყნის დასავლური კურსის შეცვლაზე გამოთქმულ მოსაზრებებს უსაფუძვლო უწოდა: **„საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს. პარლამენტმა დასავლური კურსი არაერთხელ განსაზღვრა. მათ შორის, ბოლოს 2014 წლის ივლისში, როდესაც საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა და მთავრობის საქმიანობის პროგრამა დავამტკიცეთ. შესაბამისად, ყოველგვარი მოსაზრებები, რომ ქვეყნის ევროატლანტიკურ განვითარებას საფრთხე ემუქრება, უსაფუძვლოა“.** თუმცა პარლამენტის თავმჯდომარემ მთავრობის სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

რაც შეეხება პრეზიდენტის პარლამენტისადმი შეთავაზებას, დავით უსუფაშვილის განცხადებით გიორგი მარგველაშვილთან შეთავაზებულ საკითხებზე სასაუბროდ და მისი მასპინძლობისთვისაც მზადაა: **„როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, მზად ვარ, ვუმასპინძლო პრეზიდენტს და ვისაუბროთ ამ თემაზე, რაც შეეხება პარლამენტს, კონსტიტუციით დადგენილია პროცედურები და მექანიზმები, ამიტომ ვისურვებდი, ამის მიხედვით მოხდეს ყველა შემოთავაზებაც და გადაწყვეტილების მიღებაც. იმედია, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დეტალურად გაგვაცნობს, რას გულისხმობდა პრეზიდენტი ამ მომართვაში და რასთან გვაქვს საქმე“.**

# „პრემიერ-მინისტრს პოლიტიკური შანტაჟის ბერკეტი არ აქვს“

## შეიქმნება თუ არა ახალი უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში და დაითხოვს თუ არა პრეზიდენტი პარლამენტს ან მთავრობას



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„თავისუფალმა დემოკრატებმა“ კოალიცია დატოვეს. საპარლამენტო უმრავლესობა კი 10 დეპუტატის გარეშე დარჩა, რაც პრაქტიკულად, მისი დაშლის წინაპირობაა. იმ ფონზე, რომ უმრავლესობა კვორუმს ერთიანობის დროსაც ვერ აგროვებდა, ახლა სათუო არა მხოლოდ ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება, არამედ ზოგადად, პარლამენტის უფლებამოსილება ხდება. მოვლენები კრიტიკულად შეიძლება განვითარდეს — საპარლამენტო უმცირესობისა და უმრავლესობის პოსტები გაუქმდეს, პარლამენტის თავმჯდომარე და ხელმძღვანელობა შეიცვალოს, ალასანიამ და „აჯანყებულებმა“, ნაციონალებთან ერთად, ახალი უმრავლესობა შექმნან, 2015 წლის ბიუჯეტი ჩავარდეს და ამის საფუძველზე, პრეზიდენტმა არჩევანი გააკეთოს — დაითხოვოს მთავრობა და დანიშნოს ახალი პრემიერი ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. ნებისმიერ შემთხვევაში, ბრძოლის ველი მთავრობიდან პარლამენტში გადადის! საპარლამენტო და საპრეზიდენტო კონსტიტუციური ბერკეტების შესახებ „ვერსია“ „მომავლის ინიციატივების“ ცენტრის ხელმძღვანელთან, ლევან ალაფიშვილთან ერთად მსჯელობს.**

**— ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, რა იყო ამ დიდი ინტრიგის რეალური მიზანი?**

— ეს, ალბათ, „თავისუფალ დემოკრატებს“ უნდა ვკითხოთ. პროცესები მას მერე დაიძაბა, რაც პარტია „ოცნების“ საკადრო და სტრუქტურული გაძლიერება დაიწყო. მანამდე პარლამენტში ისედაც „თავისუფალი დემოკრატები“, რესპუბლიკელები და „ოცნება“ აქტიურობდნენ. პოლიტიკური წონაც მათ ჰქონდათ, ამიტომ ლოგიკურად, ახალ კონფიგურაციაზე მიდიოდა საუბარი. როგორც ჩანს, ირაკლი ალასანია „ოცნებასთან“ სასტარტო პირობების გაუმჯობესებაზე, ან მინიმუმ, შენარჩუნებაზე საუბრობდა, დანარჩენი სამი სუბიექტების, ფორუმის, კონსერვატორებისა და მრეწველების ხარჯზე. შესაბამისად, საკუთარი პარტიისთვის საარჩევნო კვოტის გაზრდასაც ითხოვდა. ახლა ეს ყველაფერი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ჩაშლილ სამზადისს ჰგავს. როგორც ჩანს, ალასანიამ ვერ მიიღო მეტი მანდატი სამომავლო გადანაწილებაში, რადგან ბუნებრივია, ეს პარტია „ოცნების“ ინტერესებში არ ჯდებოდა. მოკლედ, შეთანხმება ვერ შედგა და ეს დიდი ინტრიგაც, ალბათ, ისევ და ისევ საარჩევნო გათვლაა.

**— ვინ რა მიიღო ამ გათვლით?**

— შედეგი ყველამ მიიღო — ახლა ალასანიასა და უსუფაშვილის გუნდები საპარლამენტო გადაწყვეტილებების პროცესში მეტად ჩაერთვებიან. იგივე მიიღეს სხვა ჯგუფებმაც, რადგან უმრავლესობის დაშლის შემთხვევაში, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მხოლოდ „ოცნება“ ველარ მიიღებს.

**— უმრავლესობის დაშლის პირობებში, სკამს კარგავს დავით საგანელიძე, შესაბამისად, უქმდება უმცირესობა და სკამს კარგავს დავით ბაქრაძეც. რა ახალი გადანაწილება დაიწყება პარლამენტში და რა ემუქრება რესპუბლიკელ თავმჯდომარეს?**

— დღევანდელი პარლამენტი 1993 წლისას შეიძლება დაემსგავსოს, როცა საკანონმდებლო ორგანოში ინტერესთა ძალიან ბევრი ჯგუფი იყო. რეგლამენტის მიხედვით, თუკი არ არსებობს უმრავლესობა და უმცირესობა, ეს უკვე ნიშნავს, რომ თავმჯდომარიდან დაწყებული, დელეგაციები, კომიტეტებში კვოტირებები და ა.შ. იცვლება. მერე დაიწყება ვაჭრობა თემაზე: ვის რამდენი კაცი ჰყავდეს კომიტეტში, ვინ იყოს მისი თავმჯდომარე, მოადგილე და ა.შ.

> **შესაძლებელია დადგეს პარლამენტის თავმჯდომარის შეცვლის საკითხიც და მისი დასმა ნებისმიერ საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფს შეუძლია. სამართლებრივად, ეს სწორიცაა — როცა 76-მა კაცმა, უმრავლესობის ნახევარზე მეტმა აგირჩია, მაგრამ ამ დროს, ეს ნახევარიც აღარ გენდობა, უკვე ჩიხია. ამ მომენტით არა მხოლოდ ნაციონალები, არამედ ფრაქციის გარეშე დარჩენილი დეპუტატებიც ისარგებლებენ.**

მათი პოლიტიკური წონა მოიმატებს და ორი ადამიანის — კობა დავითაშვილისა და გიორგი გაჩეჩილაძის გარდა, პოლიტიკურ ბაზარზე ყველა დაფასდება. ეს ორი კი კოალიციიდან პოლიტიკური სკანდალით წავიდა, ამიტომ მათთან გაერთიანება „ოცნებისთვის“ დისკრედიტაციის ტოლფასია.

**— ტექნიკურად, რამდენად შესაძლებელია ახალი უმრავლესობის შექმნა პარლამენტში?**

— ფრაქციის გარეშე დარჩენილია 9 დეპუტატი, აქედან ორი გაჩეჩილაძე-დავითაშვილია, დანარჩენი 7 ის ხალხია, ვისი კავშირები და წარსული ნაციონალურ მოძრაობასთან მიდის, მარიკა ვერულაშვილი, გურამ მისაბიშვილი და სხვები. როცა „ოცნება“ ძლიერი იყო, ეს დეპუტატები მხარს ხელისუფლებას უჭერდნენ, ახლა კი ალბათ მეტ საერთოს ნაციონალებთან იპოვიან. მოკლედ, ეს 7 კაცი, ალასანიას 10 დეპუტატი, ნაციონალების 51 კაცი და ვთქვათ, რესპუბლიკელების 9-კაციანი შემადგენლობა, 77 კაცია და ტექნიკურად, ახალი უმრავლესობის შექმნა თუ არა, ამაზე არაფორმალურად შეთანხმება მაინც შეიძლება. თუმცა არა მგონია, ეს კავშირი გაფორმდეს.

**— რა ხდება ამ დროს მთავრობაში — რამდენმა მინისტრმა უნდა დატოვოს პოსტი, რომ ახალი კაბინეტი შედგეს და მთავრობაზე ზემოქმედების რა ბერკეტები აქვს პარლამენტსა და პრეზიდენტს?**

— კონსტიტუციით, ახალი კაბინეტის ფორმირება ძველის მესამედით განახლების შემთხვევაში ხდება.

> **სულ 19 მინისტრი გვყავს, სამი წავიდა თუ გაუშვეს და კიდევ 4 მინისტრია საჭირო ახალი კაბინეტის პარლამენტისთვის წარსადგენად. თუმცა კონსტიტუცია იმას არ არეგულირებს, რა ხდება მაშინ, თუ მთავრობას პარლამენტის ნდობა აღარ აქვს. პარლამენტს რჩება ორი ბერკეტი — პრემიერის იმპიჩმენტი და ბიუჯეტის ჩაგდება.**

პრემიერის იმპიჩმენტი პროცედურა პრეზიდენტის იმპიჩმენტის იდენტურია — ეს გრძელი და რთული პროცესია — მან კონსტიტუცია უნდა დაარღვიოს ან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინოს და მერე საქმე ჯერ საკონსტიტუციო უზენაეს სასამართლოში იგზავნება, მერე პარლამენტს უბრუნდება და ა.შ.

**— ცხადია, უფრო რეალური ბიუჯეტის კანონის ჩაგდებაა, რომელიც 2 დღის წინ შევიდა პარლამენტში. რა ხდება ბიუჯეტის ჩავარდნის შემთხვევაში?**

— საკითხავი ჯერ ისაა, რომ შეიძლება, მთელი საპარლამენტო მუშაობა ჩიხში შევიდეს. პარლამენტმა საერთოდ ვერ მიიღოს კანონები, ელემენტარულად, კვორუმი არ შედგეს ანუ პარლამენტი უფლებამოსილიც კი არ იყოს, რამეზე იმსჯელოს. ამის გაკეთება კი მარტივად შეიძლება:

> **საკმარისია, სხდომას რომელიმე ფრაქცია არ დაესწროს, რომელიმე კანონისა და ბიუჯეტის კი არა, მთლიანად პარლამენტის კვორუმი ჩავარდება. უშუალოდ ბიუჯეტის ჩაგდებასთან მიმართებაში კი კონსტიტუცია ძალიან მკაცრი და მკაფიოა და პარლამენტსა და მთავრობას ეუბნება: თუ წლის ბოლომდე ვერ შედგა კონსენსუსი და ბიუჯეტი ვერ მიიღეთ, საქმეში პრეზიდენტი ერთვება და წყვეტს: დაითხოვოს პარლამენტი და გამოაცხადოს ვადამდელი არჩევნები, თუ დაითხოვოს მთავრობა და პარლამენტის ყველაზე წონად ძალასთან კონსულტაციით, ახალი პრემიერი დანიშნოს!**

ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ლეგიტიმაცია ხალხის მიერ არჩეულ ორგანოს მეტი აქვს, როგორც წესი, ყველაზე გონივრული მთავრობის გაშვებაა და პრაქტიკაც ასეთია. პარლამენტის გაშვების შემთხვევაში კი, მთავრობა, ძალიან დაბალი ლეგიტიმაციის პირობებში, შემადგენლობას ინარჩუნებს და რჩება ასევე ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის პირისპირ, რომელიც არც მთავრობას ენდობა. თუკი საბოლოოდ, ბიუჯეტზე მართლა ვერ შეთანხმდნენ, სამინისტროები წინა წლის ბიუჯეტის ერთ მეთორმეტედს მიიღებენ და ვერც ვერაფერს დაგეგმავენ, ვერც წინ წავლენ. ეს უკვე მარტო სახელისუფლო კი არა, სახელმწიფო კრიზისია, რადგან, თუ ასეთი ვითარება დიდხანს გაგრძელდა, ელემენტარულად, ხელფასები და პენსიები ველარ დარიგდება ქვეყანაში. მთელი ამ დაძაბულობის მოსაწყობად კი, ის კი არაა საჭირო, ვინმემ ხმა ბიუჯეტის წინააღმდეგ მისცეს, არამედ მარტივად, სხდომაზე არ მივა და ბიუჯეტს ასე ჩააგდებს.

**— რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მარგველაშვილი მთავრობას დაითხოვს?**

— იგი ახალი პრემიერის შერჩევას იწყებს და არჩევნებში ყველაზე კარგი შედეგის მქონე საპარლამენტო სუბიექტს ეთათბირება. თუმცა ასეთი აქამდე კოალიცია „ქართული ოცნება“ იყო, ახლა კი ბლოკი აღარ არსებობს. მაშინ პრეზიდენტს შეუძლია, ბლოკში შემავალ ყველა პარტიას, მათ შორის, ცხადია, ალასანია-უსუფაშვილის გუნდებს ელაპარაკოს და მოითხოვს, ყველა ძალა ერთ კანდიდატზე შეთანხმდეს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტი აპრიორი პარლამენტის კანდიდატურას დანიშნავს პრემიერად.

**— თუმცა პრემიერსაც აქვს პარლამენტზე ზემოქმედების ძალა, თანაც თავდასხმა სულაც არ სჭირდება.**

> **— თუ პარლამენტი მთავრობის გადაყენების პროცედურას დაიწყებს, მაგრამ ვერ დაასრულებს, ეს პროტესტი უკანვე უბრუნდება და ავტომატურად, სახლში მიდის. ასეთ სადავო სიტუაციებში, პრეზიდენტი უპირობოდ მეტ ბერკეტს ფლობს. ამ ვითარებაში და ამ კონსტიტუციით კი პრემიერ-მინისტრს პოლიტიკური შანტაჟის ბერკეტები არ გააჩნია.**

**— ანუ ღარიბაშვილი და მისი მთავრობა უფრო წამგებიან მდგომარეობაშია და ლოგიკაში არ ჯდება, ეს ინტრიგა მას დაეხლართა?**

— ტექნიკურად, ასე გამოდის. თუმცა ირაკლი ღარიბაშვილი მაინც კომფორტულ მდგომარეობაშია: მთავრობისა და მისი ლიდერის საქმიანობას პირდაპირი საფრთხე არ ემუქრება, რადგან ადმინისტრაცია, ფინანსები და ა.შ. ისევ მათ ხელთაა. ამიტომ ღარიბაშვილი მშვიდად დაელოდება 2016 წელს და მანამდე, იმაზე იზრუნებს, ასეთ დაქსაქსულ პარლამენტში ახალი გაერთიანება არ შედგეს, რომელიც ახალ პრემიერს აირჩევს.

## ვერსიანიუსი

### უკრაინაში სამი ქართველი დააკავეს



უკრაინული მედიის ინფორმაციით, უკრაინის ქალაქ უჟგოროდში საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს, რომლებიც ქალაქის მცხოვრებლების ავტომანქანებს აყაჩაღებდნენ.

დამნაშავეები სპეციალური ხელსაწყოების დახმარებით აღებდნენ ავტომანქანებს და სალონიდან მფლობელების პირად ნივთებსა და თანხებს იპარავდნენ.

დაკავებულების ასაკი 37-დან 45 წლამდეა. ისინი უკრაინის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ, მათ შორის კიევსა და ლუგანსკში.

როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, ქართველი „გასტროლიორი ქურდების“ მიმართ აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტილებაზე მსჯელობენ. ამ დროისთვის მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სამი ეპიზოდი განიხილება, რაც მთლიანობაში, 17ათასი გრივნის მოპარვას ეხება.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ნატო-ში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ლევან დოლიძემ თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო

ლევან დოლიძის განცხადებით, ესაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს და ჩააყენა საქმის კურსში, რომ თანამდებობას დატოვებს: **„მას გავაცანი ჩემი პოზიცია და მინდა, საზოგადოებასაც მკაფიოდ ვუთხრა, რომ სრულად მაქვს გაცნობიერებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც ქვეყნის წინაშე მაკისრია, რამეთუ წარმოვადგენ არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, არამედ სახელმწიფოს ნატო-ში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ჩემი აქ მოქმედების პროცესი წარიმართოს ისე, რომ არ დაზიანდეს ქვეყნის ინტერესი. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, პრემიერს განვუმარტე, რომ ჩემი გადაწყვეტილება თანამდებობიდან წასვლის შესახებ ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩავატარებთ რამოდენიმე ძირითად შეხვედრას, რომელიც დაგეგმილი გვაქვს უახლოეს პერიოდში. ეს არის პრემიერის ვიზიტი ბრიუსელში, ასევე გვექნება განხილვები ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, დეკემბრის პირველ ნახევარში იგეგმება მინისტერიალი და ბუნებივია, საქართველოს მისია ნატო-ში, ჩემი აქტიური მონაწილეობით, იქნება მოწოდების სიმაღლეზე, რომ საქართველოს პოზიციები იქნას სწორად და ეფექტიანად წარმოდგენილი ნატო-ში“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# ჯარისკაცების კვების სკანდალის ახალი დეტალები

## როგორ მოაგებინა თავდაცვის ექსმინისტრმა ტენდერი ციხიდან ახალგამოსულ მეგობარს



პატიმარი №0578

წინა ხელისუფლების დროს, ციხეებში მხოლოდ კრიმინალები რომ არ ხვდებოდნენ, ცნობილია. თუ პოლიტოპონენტებს ღიად ვერ ეხებოდნენ, მათ ახლობლებს მარტივად იჭერდნენ და სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები იმჟამინდელი ოპოზიციის სანათესაოთი სავსე იყო. გაგიკვირდებათ და, ბევრ მათგანს ციხის ადმინისტრაცია პატივს სცემდა და შეღავათსაც უწევდა, მაგრამ ზოგი რიგით პატიმრებზე შავ დღეში იყო და თავისი ნათესავების ოპოზიციონერობას ყოველდღე მწარედ იხსენებდა.

გოგა ჩ. რუსთავის №17 დაწესებულებაში იჯდა. ყოველდღე ვარჯიშობდა და ყოფილი წყალბურთელი, ისედაც ნავარჯიშებ სხეულს უფრო აკაჟებდა. ხულიგნობის ბრალდებით ექვსი წელი ჰქონდა მისჯილი და ეს ბრალდებაც ცოტა სასაცილოდ ჩანდა — მთასავით კაცის ხულიგნობა ძნელი დასაჯერებელი იყო.

ერთ დღეს, უვარგისი საკვების გამო, ზონაზე ჩოჩქოლი ატყდა. ყველაზე მეტს სწორედ გოგა აქტიურობდა. პატიმრებთან სასაუბროდ დაწესებულების დირექტორი, ლაშა ბრეგვაძეც გამოვიდა. ჯერ მუქარაზე გადავიდა — თუ არ დაწყნარდებით, სპეცრაზმს შემოვიყვანო. მერე კი, მზარეულთა დასჯის პირობა დადო. გასვლას რომ აპირებდა, სწორედ მაშინ უთხრა გოგამ: „საკვებს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. დამცირებულ კაცზე საშიში მშიერი კაცია და ეს გახსოვდეს, ლაშა“.

ბრეგვაძე მოტრიალდა, პატიმრებს ღიმილით შეხედა, შემდეგ გოგას მიუახლოვდა და ჩუმად უთხრა: „ტრაკი მიაგდე ბიჭო, თორემ ალასა ვერ გიშველის“.

პატიმარი №0578 მათთან ახლოს იდგა. ყველაფერი გაიგონა. ისიც დაინახა, როგორ აუჭარხლდა სახე გოგას და ჩაილაპარაკა, რა გინდათ ალასასგან, თავისი გაჭირვებიაო.

მეორე დღეს, პატიმრებთან სავარჯიშოდ №0578-იც ჩავიდა. ყველას გაეღიმა, რადგან ახლადმისული მალე დაიღალა და პატიმრების მიერ აწყობილი სავარჯიშო იარაღები დაიწუნა. მართლაც, დასაწუნი იყო მარილით სავსე წყლის პლასტმასის ბიდონი. გირის ნაცვლად მისი გამოყენება და ზეწრის ნახევებისგან დაწნული ლახტით ვარჯიში, არცთუ სასიამოვნო იყო. №0578 გოგას არ შორდებოდა. ბოლოს უთხრა, ჩემს კამერაში ამოდი, ხილს გაჭმევ, შეგერგებაო.

ერთი საათის შემდეგ გოგა №0578-თან ავიდა. ვაშლი გაკბიჩა და ღიმილით ჰკითხა: „გაინტერესებს, რა შუაშია ირაკლი ალასანია, ხო?!“

„მართალია და ისიც მაინტერესებს, ამხელა კაცმა როგორ იხულიგნე“.

„ირაკლი ალასანია ჩემი მეჯვარეა. ბავშვობიდან ვძმაკაცობთ და ოჯახებით ვახლობლობთ. რაც შეეხება ხულიგნობას, მას შემდეგ, რაც ირაკლი ოპოზიციაში წავიდა, დევნა მეც დამიწყეს. ჩემი წარსულის გამო მტერი არ მაკლია და იმ მტრებს მწვანე აუნთეს, ამიტომ იარაღით ვმოძრაობდი. სახლში შესულს, სადარბაზოში ვიღაცები დამხვდნენ. იარაღი ამოვიღე, არ გამისვრია, თან მაშინ უფრო ჯანზე ვიყავი და დამხვდურებს დავუშვი. ზუსტად ორ წუთში მოვიდა პატრული. ხულიგნობის და იარაღის ტარების ბრალდებით დამიჭირეს. ექვსი წელი მომარჭეს. ასე მგონია, თუ რამე არ შეიცვალა, სროკს აქაც დამიმატებენ და 6 წლის მერეც არ გამიშვებენ“, — დაამთავრა მონოლოგი გოგამ, კიდევ ერთი ვაშლი აიღო და კამერიდან გავიდა.

ამ ამბიდან მეორე დღეს ზონაზე რეჟიმი შემოვიდა და გოგას კამერას მიადგა. კამერა ყირაზე დააყენეს, მობილურის საძებნი აპარატი საკნის ყველა კუთხეში მოატარეს და როცა ვერაფერი ნახეს, ლაშა ბრეგვაძემაც ინება გადმოსვლა. ვერავინ მიხვდა, რას ეძებდნენ და ლაშას დანახვა კვანძის გახსნას მოასწავებდა. დაწესებულების დირექტორი გოგას მიადგა და კბილებში გამოსცრა: „მობილურს სად მალავ, ბიჭო?!“

2011 წელს ზონაზე მობილური უბრალოდ აბსურდული თემა იყო და პატიმრებს ერთმა აზრმა გაურბინა თავში: გოგას „რასკრუტკაზე“ უშვებენ და „სროკს“ უმატებენ.

„რა მობილური, ლაშა? ვინ დაიჯერებს მაგას, მეტალის საგანი ჩამიდეთ თუ სროკის დამატება გინდათ, უფრო დამაჯერებელი იქნება“, — მწარე ღიმილით უპასუხა გოგამ.

„უსინდისო გგონივარ, ხო? დედაშენი ჩემს კაბინეტშია ახლა. ამ დილით ამანათი მოგიტანა და შარვალში მობილურის სიმბარათი იდო. ამიხსენი, რად გინდა ბარათი, თუ მობილური არ გაქვს, თორემ აქ შენ დაგიმატებ სროკს და იქ დედაშენს გავსროკავ“, — იღრიალა ბრეგვაძემ.

გოგა ქაღალდივით გაფითრდა, შემდეგ კი ცრემლნარევი ხმით თქვა: „იცი შენ, ლაშა, რომ აქ მობილური არ არის. ისიც ხომ იცი, რომ თუ სიმბარათი მენდომებოდა, დედაჩემს არ ვეტყოდი. შეეშვით ჩემს ოჯახს და მე რაც გინდათ, ის მიქენით...“

ბრეგვაძემ ტერიტორია უხმოდ დატოვა. საღამოს გაირკვა, რომ გოგას დედას ხელწერილი დააწერინეს და აახსნევინეს, როგორ მოხვდა სიმბარათი შარვლის ჯიბეში. გაირკვა — მშობელმა შვილის შარვალი ტახტიდან ამოიღო, გააუთოვა, ჯიბეები მოჩხრიკა და პატარა ჯიბე არ შეუმოწმებია. გოგა ამბობდა, იმდენი სიმბარათი მქონდა ამათი გადამკიდე, ყველა ჯიბეში მედო და ალბათ ამიტომ გამოჰყვაო. შემდეგ ვითარება და ხელისუფლება შეიცვალა. გოგამაც გასვლისთვის დაიწყო მზადება, მაგრამ პოლიტპატიმრების სიაში არავინ ჩაწერა. სამაგიეროდ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო ციხიდან დროზე ადრე, ე.წ. აქტიროვკით მაინც გავიდა...

* * *

„ვაა, გოგას გაუმარჯოს. როგორ ხარ? შენ რა გჭირდა სააქტიროვკო, ხარს შეჭამ ერთ ჭამაზე“, — უკვე ყოფილი პატიმარი №0578 გოგას საბურთალოს ქუჩაზე საშაურმესთან შეხვდა.

„გამოსვლის სხვა ვარიანტი არ იყო და ეს გავაკეთეთ. როგორ ხარ, რას შვრები? შენს ტელეფონს ვეძებდი და კარგია, რომ შემხვდი. იცი, რა მინდა? ვინმემ ორი მილიონი რომ დამიდოს ანგარიშზე და გულს არ დავწყვეტ“, — გაუღიმა გოგამ.

„რა ორი მილიონი გოგა, რამდენიმე თვეა ციხიდან გამოვედით ორივე და ორი მილიონი კი არა, პურის ფულს მშობლებს ვართმევ. შენ მაგარ სიმაღლეებზე გასულხარ, ორი მილიონი რად გინდა?!“

„ტენდერი იქნება მალე, ჯარისკაცების კვების თემაა რა. ეგ ტენდერი უნდა მოვიგოთ, მაგრამ ანგარიშზე კუში უნდა იდოს, ისე ვერ მოვიგებთ. ხვდები, ხო? ჯარისკაცების კვების ტენდერით აშენდა აჩიკო გეგენავა ნაცების დროს, ძალიან დიდ ფულზეა ბაზარი“, — ჩუმად თქვა გოგამ.

„ალასანიას უთხარი მერე და თავად თუ არ ექნება, ვინმეს სთხოვს მაგ ორ მილიონს“, — ურჩია №0578-მა.

„ირაკლიმ გვითხრა, ფული იშოვეთ და დანარჩენს მივხედავთო. ანუ ტენდერის მოგება მაგაზეა, დანარჩენი ჩვენზე. ჰოდა ვჩალიჩობთ, რა“, — უპასუხა გოგამ.

„არა ძმაო, 2 მილიონის ჩამდები კაცი მე არ მყავს და ისე, გახსოვს, ზონაზე ლაშა ბრეგვაძეს რომ უთხარი, დამცირებულ კაცზე საშიში მშიერი კაციაო?! ეგ გახსოვდეს შენც, ჩვენი არმია არ დაამშიო და ისეთი რამე არ აჭამო, პოლიგონის ნაცვლად, ტუალეტში ირბინონ. ისე, ალასანია რომ შენი მეჯვარეა და ტენდერს მოიგებ, არ იტყვიან, ეს შემთხვევითი არ არისო?!“, — ღიმილით ჰკითხა №0578-მა.

„არავინ არაფერს იტყვის, მე არ ვჩანვარ, მთავარი ორი მილიონია და ავშენდებით“, — უთხრა გოგამ.

„კარგი გოგა, თავს გაუფრთხილდი. ორ მილიონს თუ იშოვი, მითხარი.“

* * *

„ძმა, რას აკეთებ, შევხვდეთ რა, დავსხდეთ, დავლიოთ, ძველი დრო გავიხსენოთ“, — გოგა აშკარად მთვრალი იყო და ტელეფონში ბოლო ხმაზე გაჰკიოდა.

„მშვიდობა გაქვს? თუ ის იშოვე და გიხარია?“ — ჰკითხა №0578-მა.

„ჰო, მაგას აღვნიშნავთ სწორედ. მონოპოლში ვართ და მოდი რა, გელოდებით. სულ ჩვენი სასტავია, ჩვენი საძმაკაცო. ალასაც მოვა მალე, ხომ დაგპირდი, გაგაცნობ თქო“, — ღრიალებდა გოგა.

„მადლობა გოგა, არ მინდა... ვიცნობ მაგ შენ ალასას და დალევასაც ვერ ვახერხებ ჯანმრთელობის პრობლემების გამო“.

„კარგი მაშინ, თავს გაუფრთხილდი“, — ჩასძახა გოგამ და ტელეფონი გათიშა.

რეგიონი

# ნაციონალებმა ჩანერგილების ამოქმედება დაიწყეს

## ვინ და რატომ ემუქრება გადაყენებით გარდაბნის გამგებელს

ლაშა დვალი

**ნაციონალური მოძრაობა 15 ნოემბრის აქციისთვის ემზადება. უფრო ზუსტად კი, ძალიან სერიოზულად ემზადება და ცდილობს, მხარდამჭერთა მაქსიმალური რაოდენობა შეკრიბოს. საქმეში ჩახედულები ამბობენ, ნაციონალები გადამწყვეტ მომენტს (და 15 ნოემბერი გადამწყვეტი ნამდვილად არ არის) აღარ ელოდებიან და რამდენიმე რაიონში მათ მიერ ჩანერგილი ხალხი ღია კონფრონტაციაზე გადაიყვანესო. მართლაც, რამდენიმე რეგიონსა და რაიონში „ქართული ოცნების“ რიგებიდან ისეთი ადამიანები გავიდნენ, კოალიციის თავგადაკლულ ქომაგად რომ ითვლებოდნენ და ღია დაპირისპირება დაიწყეს. ამ ყველაფერს „თავისუფალი დემოკრატების“ გასვლაც დაერთო და მათაც დიდი გული მიეცათ...**




გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში, გამგებლის წარმომადგენელმა (სოფლის რწმუნებულებს ამჟამად სწორედ წარმომადგენლები ჰქვიათ) გელა ნებუნიშვილმა პირველ ნოემბერს სოფელში აქცია გამართა. აქციაზე ორმოცამდე კაცი მივიდა. ნებუნიშვილმა კოალიცია „ქართული ოცნების“ ემბლემით გაწყობილი ტრიბუნა დაიდო წინ და შემდეგი შინაარსის განცხადება გააკეთა.

**მე თანამდებობიდან მივდივარ და მივდივარ იმიტომ, რომ არ მინდა, გარდაბნის გამგებელი გარსევან ნიორაძე იყოს. მან გადაწყვიტა, მე ჩამომაშოროს საქმიანობას და ჩემზე ზეწოლას ახორციელებს. ამიტომ, მე დავაფუძნებ წინააღმდეგობის მოძრაობას და ნიორაძეს გამგებლობიდან მოვხსნიო,** — ეს იყო ნებუნიშვილის განცხადების ძირითადი შინაარსი.

ყველაზე საინტერესო კი ამის შემდეგ დაიწყო. გარდაბნის რაიონში ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, ყოფილმა პარლამენტარმა რამინ ბაირამოვმა თბილისს შეუთვალა, 15 ნოემბრის აქციაზე 150-ის ნაცვლად, 300 კაცს ჩამოვიყვანო და წასაყვანი ხალხის რაოდენობა მან სწორედ ნებუნიშვილის განცხადების შემდეგ გააორმაგა. პარალელურად, გამარჯვების აწ უკვე ყოფილმა წარმომადგენელმა გარდაბანში ოფისი იქირავა და მხარდამჭერების მოლოდინშია.

> **საკმარისია ორასი კაცი, რათა გამგეობის შენობა შტურმით ავიღოთ, ნიორაძე კაბინეტში აღარ შევუშვათ, მე გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გავხდები, ახალ არჩევნებს დავნიშნავთ და გამგებლის პოსტს ოფიციალურად გადავიბარებ, — აცხადებს, თვითმხილველების თქმით, ნებუნიშვილი.**

ვერ გეტყვით, ეს განცხადება მძაფრსიუჟეტიანი ფილმების ყურების შედეგია თუ ძველი ხელისუფლების ნოსტალგია, მაგრამ, გეტყვით, რომ ნებუნიშვილი რესპუბლიკური პარტიის წევრია და ამ დემარშის შემდეგ, პარტიაშიც დაიბარეს. თუმცა, ჩანს, იგი რესპუბლიკური პარტიის ლიდერებსაც აღარ ემორჩილება და ღია დაპირისპირებაზეა გადასული. მას გვერდით შვილი, რძალი, სიდედრი, ბიძაშვილ-მამიდაშვილები და ორი მეზობელი უდგას. გამარჯვებულები კი დაირაზმნენ, გარდაბნის გამგეობაში ჩავიდნენ და გარსევან ნიორაძესთან შეხვედრა ითხოვეს.

**„ჩვენ არ ვიცით, რას ფიქრობს ნებუნიშვილი, არც ის ვიცით, ვის წაყვანას თუ გამოყვანას აპირებს, ვიცით ის, რომ კოალიციას ვუჭერთ მხარს და თქვენს გვერდით ვართ. გამარჯვება „ქართული ოცნების“ გვერდში იდგა მუდამ და ნებისმიერს, ვინც ამ გზას უღალატებს, სოფლიდან გავაძევებთ“,** — ასეთია გამარჯვებელთა პოზიცია.

„ვერსია“ შეეცადა გაერკვია, ვინ არის გელა ნებუნიშვილი — გამარჯვებელები არ მალავენ, რომ ნებუნიშვილს საინტერესო წარსული აქვს და რესპუბლიკურ პარტიაში მისი გაწევრიანება დღემდე უკვირთ. მათ ისიც გაუკვირდათ, რომ ნებუნიშვილს თავის დროზე ამხელა სოფლის წარმომადგენლობა ჩააბარეს და ისიც, რომ სწორედ 15 ნოემბრის წინ მოაწყო დემარში. 15 ნოემბრის აქციაზე გამარჯვებიდან წასვლას თურმე არავინ აპირებს, მაგრამ ნებუნიშვილი და მისი ოჯახის წევრები აცხადებენ, მერე ინანებთ, ნახავთ, რამდენი ხალხი გამოვაო, თუმცა იმასაც აფიქსირებენ, რომ აქციაზე ღიად გამოჩენა სარისკოა.

გაირკვა ისიც, რომ ნებუნიშვილი გადადგომამდე გამგებლის მიერ ოფიციალურად იყო გათავისუფლებული და, უბრალოდ, გათავისუფლებას საკუთარი ნებით წასვლა დაარქვა. რაც შეეხება მის მიერ დაქირავებულ ოფისს. ოფისის წინ, 5 ნოემბერს, ერთი დაპირისპირება უკვე მოხდა — მისი მხარდამჭერები უბრალოდ დათვრნენ და დღის ბოლოს ერთმანეთს დაერივნენ. თვითმხილველები ჰყვებიან, ჩხუბი იმას მოჰყვა, ნებუნიშვილი გამგეობას შტურმით რომ აიღებს და გამგებელი გახდება, ვინ რომელ თანამდებობაზე იმუშავებს. მთვრალი ადამიანების ნაკლებობა არც პირველ ნოემბერს გამართულ აქციაზე იგრძნობოდა და სწორედ ეს მთვრალი ხალხი იყო, ჯიბეში დამალულ ქვებს რომ ყრიდა, გამგებელი არ ამოვიდა და ვილას ვესროლოთო.

> **სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია ის, რომ არამარტო გარდაბნის რაიონში, არამედ სხვაგანაც, ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩანერგილი ადამიანები შენელებული ნაღმის ეფექტს ატარებენ და კონკრეტულ მომენტში მოქმედებენ. ნებუნიშვილის მაგალითზე ნაციონალებმა დაინახეს, რომ ხალხი მზად არ არის მათ გასაყოლად და თუ სოფლის ყოფილი წარმომადგენელი აქამდე ამტკიცებდა, 15 ნოემბრის აქციაზე მთელ სოფელს ჩამოვიყვანო, ახლა ხვდება, რომ ოჯახის წევრების გარდა გვერდში არავინ ჰყავს. რამინ ბაირამოვმა კი თბილისში, 15 ნოემბერს წასაყვანი ხალხის რაოდენობა 150-დან 300-მდე სწორედ 1 ნოემბრის აქციის შემდეგ გაზარდა.**

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# „კოლექტიური შიხიაშვილები“ ანუ ქართული ოცნების „ლურჯი მელიები“

## საპარლამენტო უმრავლესობის საყრდენი — უპარტიო მაჟორიტარების ფრაქცია პარლამენტში



**რა ბედი ელის საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქცია „ქართულ ოცნებას“? „კაბელების სკანდალის“ ფონზე, ამ კითხვამ აქტუალობა მას შემდეგ შეიძინა, რაც ირაკლი ალასანიასთან ერთად, საპარლამენტო უმრავლესობა ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ ათმა დეპუტატმაც დატოვა. იმისთვის, რომ საპარლამენტო უმრავლესობა არ შეირყეს, კოალიცია არ დაიშალოს და ქვეყანა თავზე არ ჩამოგვენგრეს, პარლამენტში ფრაქცია „უპარტიო, მაჟორიტარი დეპუტატები“ არსებობს. მისი წევრები ის ნაციონალები არიან, რომლებმაც საკუთარი პარტია და ფრაქცია 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვეს. მათ გარდა, საკანონმდებლო ორგანოში მათივე კოლეგა დეპუტატებიც არიან, რომლებიც ამ ფრაქციის წევრები არ გახლავთ, მაგრამ მაინც უპარტიო მაჟორიტარებად ითვლებიან, რადგან ნაციონალური მოძრაობა მათაც 2012 წელს დატოვეს.**






ნაციონალური მოძრაობის წევრის, დეპუტატ ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობას თეორიული შანსი აქვს, უპარტიო მაჟორიტარი დეპუტატების ხარჯზე, სტატუსი შეინარჩუნოს. ბეჟაშვილი მათ „კოლექტიურ შიხიაშვილებს“ უწოდებს და განმარტავს, რომ ორი წლის მანძილზე, ყველამ კარგად გაიგო, როგორი დამოუკიდებლები არიან ისინი. „კოლექტიური შიხიაშვილები“ ზუსტად ორი წლის წინ გადაბარგდნენ ნაციონალური მოძრაობიდან „ქართულ ოცნებაში“. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ საჭიროების შემთხვევაში, ისინი საპარლამენტო უმრავლესობას დაეხმარებიან.

ვინ არიან უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებსაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საპარლამენტო უმრავლესობისთვის „ოქროს ფასი“ ადევს. ისინი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ყოფილი ბიზნესმენები არიან, რომლებიც ყველა დროსა და ვითარებაში, ყველა ხელისუფლებას ერგებიან, მათთან საერთო ენასაც ადვილად პოულობენ და პარლამენტში საკუთარ ბიზნესს ლობირებენ. ბიზნესსაქმიანობა ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, სულ მცირედით დაიწყეს, მოულოდნელად გაფართოვდნენ და მილიონებიც ადვილად იშოვეს. მერე ნაციონალურ მოძრაობაში გადაბარგდნენ, 2012 წლამდე კიდევ უფრო გამსხვილდნენ და გამდიდრდნენ. ორი წლის წინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ნაციონალური მოძრაობა დატოვეს, მაგრამ იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილმა „მოღალატეები“ საკუთარ რიგებში არ მიიღო, უპარტიო მაჟორიტარები დაირქვეს და პარლამენტში საკუთარი ფრაქცია შექმნეს.

კახა ოქრიაშვილი, გიორგი გოზალიშვილი, გოდერძი ბუკია, გოგი ლიპარტელიანი, ენზელ მკოიანი და სერგო ხაბულიანი საპარლამენტო ფრაქცია — „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ წევრები არიან. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში ისინი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო ბლოკის სიით მონაწილეობდნენ. მას შემდეგ, რაც ამავე არჩევნებში ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა, დედაპარტია და შესაბამისად, საპარლამენტო ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა დატოვეს. მოგვიანებით, ახალი ფრაქცია შექმნეს, რომელსაც კახა ოქრიაშვილი თავმჯდომარეობს. საქართველოს პარლამენტში გიორგი ფეიქრიშვილი, მარიკა ვერულაშვილი და ანზორ ბოლქვაძეც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო ბლოკის სიით მოხვდნენ, მაგრამ პარტიის რიგები და საპარლამენტო ფრაქცია მათაც დატოვეს. ისინი კახა ოქრიაშვილის ფრაქციის წევრები არ არიან, მაგრამ მაინც უპარტიო მაჟორიტარებად ითვლებიან.

საკანონმდებლო ორგანოში კიდევ ერთი უპარტიო მაჟორიტარია, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა კოლეგებთან ერთად არ დაუტოვებია. თეთრიწყაროს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **დავით ბეჟუაშვილი,** კოლეგებზე „ჭკვიანი“ აღმოჩნდა — მან პარტია და საპარლამენტო ფრაქცია არჩევნების დასრულებისთანავე კი არა, ცოტა მოგვიანებით დატოვა. თუმცა კოლეგებისგან განსხვავებით, მაშინვე განაცხადა, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ ემშვიდობება და ძველ კოლეგებთან თანამშრომლობას მომავალშიც განაგრძობს. თუმცა, თუ „ქართული ოცნება“ უკეთეს პირობებს შესთავაზებს, რა გასაკვირია, რომ თეთრიწყაროს მაჟორიტარმა და ყოფილმა ნაციონალმა, საპარლამენტო უმრავლესობის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღოს.

1994 წლიდან, ბეჟუაშვილი ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ორი კომპანიის — CHEMEXIM INTERNATIONAL LTD-სა და KEMBLE TRADING LTD-ს პარტნიორია. CHEMEXIM INTERNATIONAL LTD საქართველოში ფლობს „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“, რომლის საკუთრებაში არაერთი მსხვილი ქართული კომპანიაა. ბეჟუაშვილის კომპანიები მარშალის კუნძულებსა და კვიპროსზეა რეგისტრირებული, რომლებიც ფიქტიური კომპანიების დასარეგისტრირებლად საკმაოდ პოპულარულ ოფშორულ ზონებად მიიჩნევა. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ 8 ჰიდრო და 1 თბოელექტროსადგურს ფლობს. ჰოლდინგის საკუთრებაშია შპს „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“, შპს „ტიფლის სითი“, ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა, „ქართული ლუდის კომპანია“ და „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“. 2011 წლის ბოლომდე, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 30%-ისა და ტელეკომპანია „მზის“ 10%-იან წილებს ფლობდა.

**გოგი ლიპარტელიანი** — ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატი, მილიონერი ბიზნესმენი, რომელიც დეპუტატობამდე მეფრინველეობის ქარხანა „კოდას“ ფლობდა. გოგი ლიპარტელიანს სხვა კომპანიებშიც ჰქონდა წილები, მაგრამ ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშვნა დაავიწყდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ კი 2013 წელს იმ დეპუტატების სია გამოაქვეყნა, რომლებსაც ქონებრივი დეკლარაციები არასწორად ჰქონდათ შევსებული. ამ სიაში გოგი ლიპარტელიანიც მოხვდა. წელიწადნახევრის წინ, „ვერსიამ“ ჟურნალისტური გამოძიება გამოაქვეყნა, რომელიც ლენტეხის ბიუჯეტისთვის გამოყოფილ 18 000 000 ლარს ეხებოდა. გავარკვიეთ, რომ რაიონს, რომელსაც ყოველწლიურად 2 000 000 ლარს ურიცხავდნენ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, მოულოდნელად 18 000 000 ლარი გამოუყვეს. „ვერსიამ“ ისიც გაარკვია, რომ ზედმეტი 16 000 000 ლარი ლენტეხში გზების შეკეთებას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ სტატიის მომზადების დროს, ამ რაიონში გზები ისევ შესაკეთებელი იყო. სამაგიეროდ, ტენდერში ერთი და იგივე კომპანია იმარჯვებდა, რომლის მფლობელებიც გოგი ლიპარტელიანთან დაახლოებული პირები იყვნენ და რომლებმაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები გაინაწილეს.

**კახა ოქრიაშვილი** — დმანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. მილიონერი ბიზნესმენი, რომელიც „შ ფარმას“ 100%-იანი წილის მფლობელია. „ვერსიაში“ იმ კარტელურ შეთანხმებაზე ვწერდით, რომელიც ორ კონკურენტ კომპანიას — შ-სა და „ავერსს“ შორის არსებობს. ფარმაცევტულ ბაზარზე კომპანია „მედკაპიტალი“ ფუნქციონირებს, რომლის 50%-იანი წილს — „შ ფარმა“, ხოლო მეორე 50%-იან წილს — „ავერსი ფარმა“ ფლობს. შესაბამისად, „ავერსი“ და შ კონკურენტები კი არა, ბიზნესპარტნიორები და ფარმაცევტული ბაზრის მონოპოლისტები არიან. მეტიც, კახა ოქრიაშვილის საკუთრებაშია გაკოტრებული სადაზღვევო კომპანია „ალფა“, რომელიც შ-ს დამფუძნებელმა, კონკურენტი „ავერსისგან“ შეიძინა.

**გიორგი ფეიქრიშვილი** — გარდაბნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. მისი მეტსახელია „წავკისელი ფეოდალი“. „ვერსიაში“ ვწერდით, რომ გიორგი ფეიქრიშვილი გარდაბანსა და წავკისში მიწის ნაკვეთებს ფლობს. მეტიც, პეტერბურგიდან დაბრუნებულ ბიზნესმენს თამაზ მჭედლიძეს ხელს სერიოზულად უშლის, რომ წავკისში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, „ველნეს“ გამაჯანსაღებელი ცენტრი ააშენოს. „წავკისელი ფეოდალი“ უპარტიო მაჟორიტარია, მაგრამ ამავე სახელობის ფრაქციის წევრი არ არის. სამაგიეროდ, არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს საპარლამენტო უმრავლესობასთან და საჭიროების შემთხვევაში, მათთვის ხმას კი არა, სულსაც არ დაიშურებს.

არც ისე შორეულ წარსულში, ბიზნესმენ-დეპუტატებს ხელისუფლების „მეწველ ძროხებს“, ახლა კი „კოლექტიურ შიხიაშვილებს“ უწოდებენ. ისინი წინისწინა, წინა და ახალი ხელისუფლების პირობებშიც, ძირითად საყრდენს წარმოადგენენ, ამიტომ მათგან განსაკუთრებულ ერთგულებას, პარტიული პრინციპების დაცვასა და მაღალ მატერიებზე ზრუნვას არავინ ელის. შევარდნაძის პრეზიდენტობისას ისინი ბიუჯეტში მსხვილ გადამხდელებად ითვლებოდნენ, სააკაშვილს სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად სჭირდებოდა, დღეს კი ქართულ ოცნებას, საპარლამენტო უმრავლესობის შესანარჩუნებლად დაეხმარებიან. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, ბიზნესმენი-დეპუტატები წინასაარჩევნო კამპანიასაც აფინანსებდნენ და მაჟორიტარობის კანდიდატები საკუთარ ამომრჩევლებს სუფრასაც უშლიდნენ. მეტიც, „ფეშქაშად“, თითო ცხვარსა და 20-ლიტრიან ღვინოსაც არ აკლებდნენ, რომ არჩევნებზე ერთი ხმაც არ დაკლებოდათ.

გაპოლიტიკოსებული ბიზნესმენები ყველა ხელისუფლების „ოქროს ფონდი“ და ის აუცილებელი ხმაა, რომელიც ამა თუ იმ კანონპროექტის დამტკიცებას სჭირდება. პულტზე ხელის დაჭერას რა უნდა? თუკი სოფლის შენებას მხოლოდ სამი — მამლის, ძაღლისა და მელაკუდას ხმა ჰყოფნის, კანონპროექტის დასამტკიცებლად მეტი ხმაა საჭირო. ქართული ფოლკლორი ისეთი მრავალფეროვანია, გუნდური შესრულება და შესაბამისად, ხმებში გაშლა გენში გვაქვს გამჯდარი. სხვათა შორის, მელაკუდა, რომელსაც „თუ გვერდში მდგომი არ უყვარს, კარგად ვერ იმღერებს“, სულხან-საბას იგავ-არაკში ძირითადი პერსონაჟი არ არის, ის მულტფილმის რეჟისორმა „გააძლიერა“. სულხან-საბას მიხედვით, სოფელი იმ შემთხვევაში აშენდება, თუ მამალი იყივლებს და ძაღლი იყეფებს, მაგრამ კანონპროექტის დამტკიცებას ხმებში გაშლა, ანუ მელაკუდაც სჭირდება, რომელიც ფერს დროის შესაბამისად შეიცვლის. საქართველოს პარლამენტს კი „ლურჯი მელიები“ ანუ უპარტიო მაჟორიტარი დეპუტატები არ აკლია. მართალია, ეს უკვე სულ სხვა მულტფილმია, მაგრამ „ოცნების“ ფერს შეესაბამება და ვითარებასაც შვენის.

### ვერსიანიუსი

## სემეკ-მა ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიის პროექტი შეიმუშავა




საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიის პროექტი შეიმუშავა. სემეკ-ის ინფორმაციით, პროექტი ეფუძნება საერთაშორისო პრინციპებსა და ევროპის საუკეთესო პრაქტიკას. საჯარო სხდომაზე კომისიამ „ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. ახალი მეთოდოლოგიის პროექტი კომისიის ვებგვერდზე განთავსდება. დაინტერესებულ პირებს მოსაზრებების წარდგენა პირველი დეკემბრის 17:00 საათამდე შეეძლებათ. ახალი მეთოდოლოგია, რომელიც ბუნებრივი გაზის მიწოდების, ტრანსპორტირების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების გაანგარიშებას შეეხება, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე შევა ძალაში. შესაბამისად, ახალი მეთოდოლოგიის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდება „ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესისა და მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ კომისიის 1999 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილება.

***„ინტერპრესნიუსი“***

## თამბაქოს ნაწარმსა და ალკოჰოლურ სასმელზე აქციზის გადასახადი იზრდება



2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები პირვანდელ ვარიანტთან შედარებით 170 მილიონი ლარით არის გაზრდილი. ბიუჯეტის ზრდის წყაროს საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენს, კერძოდ, იზრდება აქციზის გადასახადი თამბაქოს ნაწარმსა და ალკოჰოლურ სასმელზე. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ნოდარ ებანოიძის ინფორმაციით, თამბაქოს ნაწარმთან დაკავშირებით მიდგომა დიფერენცირებული იქნება: **„დაბალი ხარისხის სიგარეტზე ფასი დაახლოებით 5 თეთრით გაიზრდება და რაც უფრო მაღალი იქნება ხარისხი, მით მეტი იქნება ფასიც“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

# სოფოსბუვირი — პანაცეა თუ ფუფუნების საგანი




## რა პრეპარატი შემოაქვს ჯანდაცვის სამინისტროს C ჰეპატიტის სამკურნალოდ და ვისთვის იქნება ხელმისაწვდომი

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

**რამდენიმე დღის წინ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, რომ საქართველოში C ჰეპატიტის სამკურნალო ახალი პრეპარატის შემოტანაზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. „C ჰეპატიტი საქართველოში სერიოზული პრობლემაა. ჩვენ დავიწყეთ პროგრამა, რომლითაც პაციენტები „ინტერფერონს" 60%-იანი ფასდაკლებით იღებენ, თუმცა სამწუხაროდ, უმრავლესობისთვის, ვისაც ეს წამალი სჭირდება, ფასი კვლავ მიუწვდომელია. გამოჩნდა ახალი პრეპარატი, რომელსაც განკურნების ბევრად მაღალი პროცენტი აქვს. ჩვენი სახელმწიფოს ინტერესია, მოსახლეობას დავეხმაროთ და მედიკამენტები, ზოგადად მკურნალობა უფრო ხელმისწავდომი გახდეს", — ასეთი იყო ჯანდაცვის მინისტრის კომენტარი, რომელმაც დასძინა, რომ ახალ პრეპარატთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია, თუმცა დეტალები არ ხმაურდება, გარდა ერთისა: „აშშ-ში მკურნალობის კურსი 84 ათასი აშშ დოლარი ღირს. ამოცანა ისაა, რომ იმ პირობებს მივაღწიოთ, მოსახლეობისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს".**

ინფორმაცია უდავოდ საინტერესოა და დამაიმედებელიც — წამალი C ჰეპატიტით დაავადებულებს გამოჯანმრთელების მეტ შანსს აძლევს და ეს ნამდვილად კარგია, მით უმეტეს, მსოფლიოში არსებული საგანგაშო სტატისტიკის ფონზე: C ჰეპატიტით დაავადებულთა რაოდენობამ 170 მილიონს გადააჭარბა და მარტო ამერიკაში, წელიწადში 350 ათასი ადამიანი იღუპება ამ დაავადებით, ყოველწლიურად კი 3-4 მილიონი ახალი შემთხვევა ფიქსირდება. ვინ იცის, იქნებ, სოფოსბუვირი ნამდვილ პანაცეად იქცეს. მაშინ, როცა ადრე არსებული სამკურნალო პრეპარატები მაღალი ეფექტურობით არ გამოირჩეოდა.

აქამდე C ჰეპატიტის სამკურნალო ერთადერთი მეთოდი იყო ალფა ინტერფერონისა და რიბავირინის ანტივირუსული თერაპია — მისი ეფექტურობა დაახლოებით 75% იყო ერთწლიანი მკურნალობის შემდეგ. მაინც რატომ გახდა საჭირო ახალი პრეპარატის შექმნა? ალბათ იმიტომ, რომ არსებულ მეთოდს სერიოზული გვერდითი მოვლენები ახასიათებს — მათ შორის ანემია, ლეიკოპენია, გულის უკმარისობა, დეპრესია, პირველ რიგში ალფა-ინტერფერონის გამო, რამაც უბიძგა სპეციალისტებს ბევრად ეფექტური და უსაფრთხო მეთოდი ეპოვათ.

აირა ჯეკობსონის ხელმძღვანელობით გუნდმა ნიუ იორკის Weill-Cornell Medical College-დან გამოიკვლია სოფოსბუვირის ეფექტი რიბავირინთან ერთად იმ პაციენტებში, რომლებიც იყვნენ C ჰეპატიტის 2 და 3 გენოტიპის ფორმით დაავადებულნი და რომელთათვისაც სტანდარტულმა თერაპიამ შედეგი ვერ გამოიღო. ახალმა კომბინაციამ კი საშუალება მისცა, მიეღოთ მდგრადი ვირუსოლოგიური პასუხი 78 პაციენტში უკვე 3-4 თვეში მკურნალობიდან.

სპეციალისტების მეორე ჯგუფი ერიკ ლევიტცის ხელმძღვანელობით Texas Liver Institute-დან ატარებდა ცდას სოფოსბუვირის, რიბავირინისა და ინტერფერონ ალფა ა2-ის კომბინაციით იმ პაციენტებზე, რომელთაც მანამდე მკურნალობა არ ჩატარებია და დაავადებულნი იყვნენ ვირუსის ყველა ქვეტიპის ქრონიკული ფორმით, მათ შორის, მეტად გავრცელებული ჰეპატიტი 1-ით. 3 თვეში თერაპიულად მდგრადი ვირუსოლოგიური პასუხი მიიღეს 90%-ში, გვერდითი მოვლენები კი არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში გამოვლენილა.

„მიღებული შედეგები, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯია", — განაცხადა ექსპერტმა C ჰეპატიტის მკურნალობის საკითხში, დევიდ ტომასმა ბალტიმორის Johns Hopkins Center for Global Health-დან და დასძინა, რომ უნდა დალოდებოდნენ სოფოსბუვირის კომპლექსური თერაპიის შედეგებს ინტერფერონის გარეშე. სწორედ ტომასმა გადაიყვანა ერთ-ერთი პაციენტი სოფოსბუვირისა და რიბავირინით მკურნალობაზე და სრულად გამორიცხა ინტერფერონი. ამ დროს Gilead Sciences-ს წამლისა და საკვები პროდუქტის კონტროლის ამერიკულ კოპანიაში FDA უკვე შეტანილი ჰქონდა განაცხადი აშშ-ში ამ პრეპარატის ბაზარზე გატანის შესახებ.

დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ამერიკული ცენტრ CDC-ს მონაცემებით, მარტო ამერიკაში 3,2 მლნ ადამიანი იტანჯება ამ დაავადების ქრონიკული ფორმით და ამ ფონზე C ჰეპატიტის მკურნალობის ეფექტური და უსაფრთხო მეთოდის პოვნა ფინანსური თვალსაზრისით მეტად მომხიბვლელი აღმოჩნდა. მით უმეტეს, რომ აქამდე შემუშავებული საცდელი პრეპარატები დიდი წარმატებით არ გამოირჩეოდა: 2011 წელს FDA-მ დაუშვა აშშ-ს ტერიტორიაზე ორი ახალი პრეპარატის — ბოცეპრევირისა და ტელაპრევირის გამოყენება (ინჰიბიტორები, რომელიც ვირუსს ფუნქციური ცილების გამოსამუშავებლად სჭირდება), მაგრამ ორივე წამალს სერიოზული გვერდითი მოვლენები ახასიათებდა;

2012 წლის აპრილში ფრანკფურტის უნივერსიტეტის მეცნიერებმა განაცხადეს, რომ შეიმუშავეს და კლინიკური ცდების უკვე მეორე ფაზაზე იყო C ჰეპატიტის მკურნალობის მეთოდი ინტერფერონის გარეშე. მეთოდი შეიცავდა ყოველდღიურად ორი პრეპარატის — BI 201335 და BI 207127-ის მიღებას. პირველი პრეპარატი წარმოადგენს ინჰიბიტორ NS3/4A-ს, რომელსაც ვირუსი იყენებს ცილების ნეიტრალიზებისთვის, ხოლო მეორე პრეპარატი გენომის სინთეზში მონაწილეობდა. თუმცა ამ შემთხვევაშიც ეფექტი სასურველი არ ყოფილა; 2012 წლის აგვისტოში კი ფარმაგიგანტმა Bristol-Myers Squibb (BMS)-მა განაცხადა, რომ უარს ამბობდა პრეპარატ BMS-986094-ზე მუშაობაზე, რადგან ცდებისას 9 ადამიანის ჰოსპიტალიზება გახდა საჭირო, ხოლო ერთი გარდაიცვალა. პაციენტებს აღენიშნებოდათ გულის უკმარისობა, ინტოქსიკაცია... მაგრამ გართულებებსა და წამალს შორის კავშირის დადგენა მაინც ვერ მოხერხდა; უფრო გვიან — 2013 წლის მარტში კანადელ და ირლანდიელ სპეციალისტთა ჯგუფმა განაცხადა პრეპარატ Miravirsen-ის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა ინჰიბიტორ miR-122-ს...

სოფოსბუვირმა კი წარმატებით გაიარა კვლევის ყველა ეტაპი და დაამარცხა ვირუსი, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამავე ჯგუფს განეკუთვნებოდა პრეპარატი BMS-986094-ც(?).

სოფოსბუვირის გამოშვებას ევროპაში სკანდალის გარეშე მაინც არ ჩაუვლია — მართალია, ბოლო გამოკვლევებმა წამლის მაღალი ეფექტურობა დაადასტურა და არც გვერდითი მოვლენები დაფიქსირებულა, მაგრამ პრობლემა მკურნალობის კურსის საფასურია — დაახლოებით 84 ათასი აშშ დოლარი. უდავოა — ამერიკული ფარმაკოლოგიური კომპანია Gilead-ის მიერ წარმოებულმა პრეპარატმა სასწაული მოახდინა ცდებისას — წამალი მეტაბოლიზდება აქტიურ ანტივირუსულ საშუალებაში და მოქმედებს C ჰეპატიტის ექვსივე გენოტიპზე. ოფიციალური მონაცემებით, ცდების მესამე ფაზაში C ჰეპატიტის მესამე გენოტიპის ვირუსზე ზემოქმედების ეფექტურობა 97% იყო; ანალოგიური შედეგი მიიღეს იაპონიაშიც, სადაც წამალი 153 პაციენტზე გამოსცადეს — მათი 97% სრულად გამოჯანმრთელდა. არ ფიქსირდება გვერდითი მოვლენები, მედიკამენტი გამოდის აბების ფორმით და იძლევა მდგრად ვირუსოლოგიურ პასუხს 24 კვირაში თერაპიის დაწყებიდან.

ოფიციალურ გაყიდვამდე მისი შეძენა ინტერნეტით იყო შესაძლებელი, თუმცა თავად წამალი იმდენად ძვირია, რომ სპეციალისტების აზრით მხოლოდ დაავადებულთა 10 პროცენტისთვის იქნება ხელმისაწვდომი. 84 ათასი აშშ დოლარი — ეს დიდი თანხაა და, როგორც მსოფლიო ექსპერტები აცხადებენ, ეს ფასი წამლის თვითღირებულებას ასჯერ აღემატება! რაც ნიშნავს, რომ მეტ-ნაკლებად ღარიბ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს არ შეუძლია, გამოყოს დიდი თანხა ჯანდაცვაზე, ხალხმა მკურნალობის ხარჯი საკუთარი ჯიბიდან უნდა გაიღოს. არადა, სამწუხაროდ, სწორედ ასეთ ქვეყნებშია C ჰეპატიტის მაღალი მაჩვენებელი. ინტერფერონით მკურნალობა 20 ათას ევრომდე ჯდებოდა და ისიც კი ხელმიუწვდომელი იყო დაავადებულთა უმრავლესობისთვის.

სხვათა შორის, C ჰეპატიტის ვირუსის მატარებელთა უმრავლესობამ მთელი მსოფლიოდან Gilead-ს ღია წერილით მიმართა და მოუწოდა, არ ეკეთებინა ასეთი სასტიკი ბიზნესი სხვების უბედურებაზე, ყოველ შემთხვევაში, არ შეწინააღმდეგებოდა შედარებით იაფიანი ასლის დამზადებას. თუმცა ფარმაკოლოგები ჯიუტად ამტკიცებენ, რომ პრეპარატის ფასი არსებული ეკონომიკური ვითარების შედეგია და ფასის დაწევა უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდება.

ამ ფონზე, რისი იმედი აქვს საქართველოს, გაურკვეველია. არადა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 7% სწორედ ამ დაავადების მსხვერპლია. ჯანდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფოს ნება თუ ინიციატივები გასაგებია და მისასალმებელიც, მაგრამ საკითხავი ისაა, სოფოსბუვირი ჩვენი მოსახლეობისთვის პანაცეად იქცევა თუ ფუფუნების საგნად!



## ქუთაისში 110-ბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია ხორციელდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, 110 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს წლის ბოლოს ახალი საცხოვრებელი სახლი ექნება.

უწყების ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით შავლიაშვილმა დაათვალიერა. სამინისტროს ინფორმაციით, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლის რეაბილიტაციის ფარგლებში, მუნიციპალური განვითარების ფონდი, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ქუთაისში 110-ბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციას ახორციელებს. პროექტის საერთო ღირებულება 5 მლნ 560 ათასი ლარია. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით: **„ოცხელის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაციას ფონდი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ახორციელებს. ყოფილი საავადმყოფოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2014 წლის თებერვალში დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება. პროექტის ფარგლებში 110 იძულებით გადაადგილებული ოჯახი ახალ საცხოვრებელ სახლს მიიღებს. 110 ბინიდან 46 ერთოთახიანი, 52 — ოროთახიანი, 12 ბინა კი სამოთახიანია. 6 ბინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სრულად ადაპტირებულია. ამასთან, რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, საცხოვრებელი კორპუსი და გარეინფრასტრუქტურა სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირებისთვის".**

უწყების ინფორმაციით, პროექტის განხორციელების განმავლობაში მშენებლობაზე 120-150 ადამიანია დასაქმებული, რომელთაგან 25% იძულებით გადაადგილებული პირია. ყველა საცხოვრებელ ბინას ინდივიდუალური სააბაზანო და სველი წერტილები ექნება. სამზარეულოში დამონტაჟდება წყლისა და გაზის გამათბობლები. ეზოში მოეწყობა პარკინგი და სათამაშო ატრაქციონები. დამონტაჟდება გარეგანათების ქსელი, დეკორატიული სანათები, სანაგვე ურნები და სხვა საჭირო ატრიბუტიკა.

*„ინტერპრესნიუსი"*




## გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 7 დაურეგისტრირებელი სახერხი დალუქა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი სხვადასხვა რეგიონებში პრევენციულ ღონისძიებებს აგრძელებს.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ხე-ტყის უკანონო ჭრის და გადამუშავების გამოვლენის მიზნით, ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პრევენციული ღონისძიება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განახორციელეს.

მათივე ინფორმაციით, ზედამხედველობის თანამშრომლებმა 7 დაურეგისტრირებელი სახერხი აღმოაჩინეს, სადაც 30 მ3 უკანონო ხე-ტყე იყო.

შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რის საფუძველზეც მფლობელებს უკანონოდ მოპოვებული მერქნული რესურსი ჩამოერთვათ. მასალები შესაბამის რაიონულ სასამართლოებში გადაგზავნილია.

*„ინტერპრესნიუსი"*

ეროვნული უმცირესობა

# „არანაირი მექანიზმი არ არსებობს, რომ ქრისტიან და მუსულმან ქართველებს შორის ურთიერთობა დაალაგონ“



ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც არიან გარკვეულ თანამდებობებზე და ამით საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ მეტი დაინტერესება იქნება.

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**ეთნიკურ-რელიგიური უმცირესობების პრობლემები და მათი ინტეგრაცია ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარი გამოწვევაა. ამ საკითხის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას დასავლელი პარტნიორები იჩენენ. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში ამ მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯებიც გაწერილია.**
**არსებულ რეალობასა და მოსალოდნელ შედეგებზე, ყოფილ პარლამენტარს, ელენე თევდორაძეს ვესაუბრეთ.**

— დღეს, პოლიტიკასთან ძალიან ახლოს არ ვარ, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ეროვნული უმცირესობები მაინცდამაინც ვერ ფლობენ სახელმწიფო, ქართულ ენას. ეს პრობლემა საქართველოში სულ იყო და სამწუხაროდ, დღესაც სახეზეა. სპეციალური კანონებიც მიიღეს, უმაღლეს სასწავლებლებში საკუთარ ენაზე გამოცდების ჩაბარების და შემდეგში ქართულ ენაზე გადასვლის უფლებაც მიეცათ, მაგრამ პრობლემა მაინც არ მოიხსნა. ამის გამო, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ადგილობრივ და ფედერალურ მმართველობაში. სანამ ეროვნულ უმცირესობას ქვეყნის მმართველობაში არ ჩავრთავთ, საქართველოს მოქალაქეებად თავს ნაკლებად იგრძნობენ... რელიგიურ საკითხებზეც გავამახვილებ ყურადღებას — დღევანდელი ოპოზიციისგან ხშირად ისმის, რომ ქვეყანაში რელიგიური დაპირისპირება გამწვავდა, ამას არ ვეთანხმები, რადგან ასეთი წინააღმდეგობები ყოველთვის იყო. უბრალოდ, სააკაშვილის დროს შიშისგან ეს ნაკლებად ვლინდებოდა. ახლა, რადგან ლიბერალური მიდგომაა, საკითხი ისევ ამოტივტივდა.

**— ეს პრობლემა რამდენად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე?**

— ევროსაბჭოში გაწევრიანებისას ჩვენი ვალდებულებებიდან ერთი შესრულებული არ არის — ეს არის ენის კონვენცია. პოლიტიკაში ყოფნისას და დღესაც მივიჩნევ, რომ ამ კონვენციის ამოქმედება სადავოა; რუსეთთან რთული ურთიერთობების გამო არ უნდა ავჩქარდეთ, თუმცა ეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაშიც აღნიშნულია და არ მგონია, საშიში იყოს.

**— როგორ უნდა გაუმჯობესდეს უმცირესობებთან დაკავშირებული მდგომარეობა?**

— უპირველესად, აუცილებელია განსაკუთრებული პროგრამების შემუშავება ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით და მათი ჩართულობა საქვეყნო საქმიანობაში. როცა იგრძნობენ ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობას, სხვა დამოკიდებულება ჩამოყალიბდება. დანარჩენები შეხედავენ, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც არიან გარკვეულ თანამდებობებზე და ამით საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ მეტი დაინტერესება იქნება.

**— სოფელ მოხეს შემთხვევას და მთავრობის რეაქციას როგორ შეაფასებდით?**

— სხვათა შორის, ასლან აბაშიძე, რაც უნდა ნეგატიური დამოკიდებულება გვქონოდა ამ ადამიანის მიმართ, კარგად არეგულირებდა ამ ურთიერთობას, სამწუხაროდ, დღეს არანაირი მექანიზმი არ არსებობს, მუსულმან და ქრისტიან ქართველებს შორის ურთიერთობა დაალაგონ. ამასთან ვფიქრობ, ეს მოძველებული საკითხია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღნიშნული პრობლემა ნაკლებად იგრძნობოდა — ხალხს გამოსვლის ეშინოდა, რადგან შეიძლება დაეპატიმრებინათ. ახლა ეს სიმკაცრე მოხსნილია და საკითხიც ამოტივტივდა.

შეთანხმება

# თიბისი ლიზინგში 4 000 000 აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი გაიხსნა



## შავი ზღვის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსით მცირე და საშუალო ბიზნესი დაფინანსდება

**თიბისი ლიზინგი 4 000 000 აშშ დოლარის სესხით დაფინანსდა. სესხი შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკმა გამოყო, რომლითაც თიბისი ლიზინგი მცირე და საშუალო ბიზნესს დააფინანსებს. სესხის გამოყოფის შესახებ ხელშეკრულებას ხელი 6 ნოემბერს, თიბისი ბანკის სათავო ოფისში მოაწერეს გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ, თიბისი ლიზინგის დირექტორმა ნანა მიქაშავიძემ და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტმა, იჰსან უღურ დელიკანლმა.**

თიბისი ლიზინგი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკთან 2007 წლიდან თანამშრომლობს. ხელშეკრულება, რომელიც 6 ნოემბერს გაფორმდა, რიგით მესამე საკრედიტო რესურსია, რომელიც თიბისი ლიზინგმა შავი ზღვის განვითარების ბანკისგან მოიზიდა. 4 000 000-დოლარიანი სასესხო ფინანსური რესურსი არასაბანკო ფინანსური სექტორის განვითარებას მოემსახურება და შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაც ხელმისაწვდომი გახდება.

„ვერსიის“ კითხვაზე, კონკრეტულად რა მიმართულების მცირე და საშუალო ბიზნესი დაფინანსდება ახალი საკრედიტო რესურსის შედეგად, შავი ზღვის განვითარების ბანკის პრეზიდენტმა, **იჰსან უღურ დელიკანლმა** უპასუხა:

**„ამ მხრივ არავითარი შეზღუდვა არ იქნება, უბრალოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის დეფინიცია თურქეთსა და საქართველოში განსხვავდება. თუმცა რომელი კომპანია უნდა დაფინანსდეს, ამას უშუალოდ თიბისი ლიზინგი შეარჩევს“.**

თიბისი ლიზინგის დირექტორის, ნანა მიქაშავიძის განმარტებით, კომპანია მცირე და საშუალო ბიზნესის ფართო სპექტრს აფინანსებს. მათ შორის, მშენებლობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, მედიცინის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

საქართველოს ბაზარზე, თიბისი ლიზინგი ერთ-ერთი ლიდერი სალიზინგო კომპანიაა, რომელიც 2003 წლიდან ოპერირებს. კომპანია თიბისი ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა — „იბიარდი“ დააფუძნა. თიბისი ლიზინგი, ძირითადად, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს აფინანსებს და სალიზინგო ბაზრის 67%-ს ფლობს. 24 თანამშრომლითა და 58 000 000-ლარიანი პორტფელით, კომპანია 400-ზე მეტ მომხმარებელს ემსახურება. თიბისი ლიზინგი საქართველოს მასშტაბით ოპერირებს, მაგრამ საქმიანობის ძირითადი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი. ნანა მიქაშავიძის განცხადებით, ლიზინგის პორტფელი დივერსიფიცირებულია, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის თითქმის ყველა ძირითად ინდუსტრიას მოიცავს.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც ალბანეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, საქართველოს, საბერძნეთის, თურქეთის, მოლდოვას, რუმინეთის, რუსეთისა და უკრაინის სახელმწიფოების მიერ დაფუძნდა. შავი ზღვის განვითარების ბანკი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და რეგიონალურ თანამშრომლობაზეა ორიენტირებული. წევრ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს, შავი ზღვის განვითარების ბანკი საკრედიტო ხაზებით, სესხებითა და ინვესტიციებით უზრუნველყოფს. იჰსან უღურ დელიკანლის განმარტებით, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი რეგიონის მასშტაბით, ძირითადად, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე ზრუნავს, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედია.

*მაია მიშელაძე*



## გომარდულში შეიძლება სეზონი ჩავარდეს

სააქციო საზოგადოება „გომარდულს“ სახელმწიფოს ვალი აქვს, აქციონერები კრედიტს ითხოვენ და სახელმწიფოს დახმარებას სთხოვენ. **„მიწის გადასახადი გვაქვს. საგადასახადომ გვიჩივლა, დაყადაღებულია თითქმის მთლიანი ქონება, ანგარიშები, ამიტომ ფინანსურ საქმიანობას ვერ ვაწარმოებთ. ისინი ითხოვენ 300 ათას ლარს. ჩვენ გვქონდა მთავრობასთან საუბარი, ვითხოვთ, გამოგვიყონ კრედიტი, არჩილ ხაბაძე შეგვპირდა დახმარებას. ჯერჯერობით ველოდებით მთავრობისგან პასუხს, განხილვას სჭირდება დრო“,** – აცხადებს „გომარდულის“ აქციონერი რამაზ მსახურაძე.

სოფელი გომარდული შუახევში, ბათუმიდან 74 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1.250 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

*„პირველი“*



## პრემიერმა ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა

მხარეებმა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების პრიორიტეტულ საკითხებზე ისაუბრეს და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დასახეს.

იანოშ ჰერმანი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პოზიციას 2014 წლის ოქტომბრიდან იკავებს.

უნგრელმა დიპლომატმა კარიერა გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. 1976 წელს იგი პერუში უნგრეთის საელჩოში ატაშედ დაინიშნა. მოღვაწეობდა სხვადასხვა თანამდებობებზე უნგრეთის საელჩოებში მექსიკასა და საბერძნეთში, 2001 წელს კი ნატო-ში უნგრეთის მუდმივი წარმომადგენელი გახდა.

2005-2009 წლებში იყო ევროკომისიის საგარეო საქმეთა დოქტორატის მთავარი მრჩეველი რეგიონული თანამშრომლობის სფეროში. 2009-2013 წლებში გახდა ნორვეგიასა და ისლანდიაში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, 2014 წლის დასაწყისში მას ცენტრალურ აზიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა ეკავა.

*„პირველი“*

# ქართული გენი ვარშავაში

## როგორ შეიფარეს პოლონელებმა გვარგადაკეთებული, ძებნილი ქართველი




ნათია ნოდია

**„ვერსიას“ ქართულ დიასპორაზე პოლონეთში, მათ პრობლემებსა და სურვილებზე ესაუბრა დიასპორის ყოფილი ხელმძღვანელი ვარშავაში, ორი ქართული რესტორნის „გაუმარჯოს“ მფლობელი დავით გამცემლიძე.**

— დღეს პოლონეთში, ლეგალურად, დაახლოებით 208 ქართული ოჯახია. შეიძლება ითქვას, აპოლიტიკურები ვართ, რადგან ახლა ჩვენ რიგებში დიდი დაბნეულობაა. სწორ ინფორმაციას ვერ ვიღებთ. განწყობა კი, ასეთია: გუშინწინ მოსწონდათ სააკაშვილი, გუშინ ივანიშვილი, დღეს არავინ მოსწონთ. ჩვენი დიასპორის წარმატება ისაა, რომ არ დავიქსაქსეთ. ევროპის სხვა ქვეყნებში, ერთად ვერ „ძოვენ“ და რამდენიმე დიასპორა შექმნეს... შეკრებებისთვის საელჩოს შენობა დაგვითმეს. იქ ბავშვებისთვის საკვირაო სკოლა გაკეთდა. ჩამოვაყალიბეთ ცეკვის ჯგუფი. კვირაში ორჯერ გვიტარდებოდა გაკვეთილები. ერთ-ერთი ჩვენი დიპლომატის მეუღლე ანსამბლ „ერისიონის“ სოლისტია. 50 წელს გადაცილებული ვარ და ჩავეწერე მის ჯგუფში. პატარა ქუჩაა ვარშავაში, იქ წირავენ მართლმადიდებლურად, პოლონელი მღვდლის, პაპროდსკის შემწეობით... აქ ბევრი ვიცი, ვინც მარტო ჩაითი სულდგმულობს. პოლონეთი საკმაოდ ძვირი ქვეყანაა და ემიგრანტები იკლებენ საზრდოს, მატერიალურ სიკეთეს და საქართველოში გზავნიან ფულს. ზოგიერთი კი მორალს გვიკითხავს, რატომ წახვედითო? ჭკუის დარიგებაზე ერთი შემთხვევა მახსენდება — რამდენიმე წლის წინ, დიასპორის თავმჯდომარე როცა გახლდით, ჩვენი პატრიარქი ჩამობრძანდა. შევიკრიბეთ, მოგვეფერა, ვისაუბრეთ... ხატები და ჯვრები გვაჩუქა და მოგვიწოდა: დაბრუნდით სამშობლოში, ბოლობოლო, სოფლებში იცხოვრეთ, შავი პური ჭამეთო... როგორც ავადმყოფს სჭირდება მკურნალობა, გამოსავლის გამოძებნა, ჩვენც მსგავს ვითარებაში აღმოვჩნდით და ამიტომ დავტოვეთ საქართველო. არ გვიხარია, რომ წამოვედით, იძულებულნი გავხდით. კაცი, რაც უნდა მდიდარი იყოს, ერთი დღის სიცოცხლისთვის, ყველაფერს დათმობს. ჩვენი ვითარება მსგავსი იყო.

— **ქართველებს ევროპის ქვეყნებში პრობლემები შექმნათ — დასაქმების საშუალებას არ აძლევენ და პოლიციაც მკაცრად აკონტროლებს. რა ვითარებაა ამ მხრივ პოლონეთში?**

— პოლონეთი გამონაკლისია. აქ რუსეთი და სტალინი არ უყვართ. ვხუმრობ ხოლმე, ერთი კაცი ვერ გამოგვადგა, სანამ ჩვენთან იყო, ლექსებს წერდა, ილიას უყვარდა, რუსეთში წავიდა და დაგვიღუპეთ-თქო. სტალინს სმოლენსკის ტრაგედიასთან აკავშირებენ და არცთუ უსაფუძვლოდ. რუსეთის სიმუხთლეს მათი პრეზიდენტი, ბუმბერაზი პიროვნება ლეხ კაჩინსკიც ემსხვერპლა. მან ვარშავის აჯანყების მუზეუმის ეზოში პოლონეთის არმიაში მებრძოლი და დაღუპული ქართველი ოფიცრების პატივსაცემად გახსნა ობელისკი და მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამთავრობო გუნდთან ერთად დაპატიჟა. ამ შეხვედრიდან მალევე მოხდა კაჩინსკის ტრაგედია... სხვათა შორის, პოლონეთი ჩვენი პატრონია ევროკავშირისა თუ სხვა ევროპული ინსტიტუციების ფარგლებში. თანაც ახლახან მათი პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი ევროსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ამ ქვეყნის კეთილგანწყობით რომ ვსარგებლობთ, დიდწილად, წინაპრებს უნდა ვუმადლოდეთ — პოლონელი ხალხის სოლიდარობა, რაც დღემდე ასე საგრძნობია, განაპირობა ისტორიულმა მახსოვრობამაც. ჯერ კიდევ 20-იან წლებში საქართველოს ჰყავდა კარგი მთავრობა და ბრწყინვალედ გაწვრთნილი ჯარი. როცა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას და მის ერთგულ არმიას ქვეყნის დატოვება მოუხდა, ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო პოლონეთი, რომელმაც შეგვიფარა. თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენმა ღირსეულმა წინაპრებმა ისეთი პიარი გაგვიკეთეს, დღესაც ემიგრანტები, წარმომავლობით ვამაყობთ.

— **ექსპრეზიდენტების, სააკაშვილისა და კაჩინსკის მეგობრობამ რამდენად განაპირობა ამგვარი ურთიერთობების ჩამოყალიბება?**

— მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი აზრით, დღეს საქართველოში სააკაშვილის მხარდამჭერები იდევნებიან, პირდაპირ ვიტყვი: თავის დროზე, მისი სახით, ხელისუფლებაში მოვიდა ახალგაზრდა, ენერგიული პრეზიდენტი, რომელმაც გუნდთან ერთად დაიწყო რეფორმები. ოღონდ, უბედურება ისაა, რომ ძალაუფლება ათრობს, აბრუებს და იქმნება კლანური სისტემა. შეუძლებელი ხდება ვითარების კონტროლი, იკარგება კავშირი ხალხსა და მთავრობას შორის. სწორედ ამ კავშირის მოშლამ საბოლოოდ დაათმობინა ხელისუფლება. ბევრს ნიშნავს, რომ ამგვარი განათლებული და კომუნიკაბელური პრეზიდენტი გვყავდა. რაც შეეხება ივანიშვილს, ჩვენი დიასპორის მნიშვნელოვანმა ნაწილმა იცოდა, რომ იგი საჭირო იყო სააკაშვილის გასანადგურებლად. ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან უკვე ორი წელი გავიდა და აქაური ემიგრაცია ვერ ხედავს ხელშესახებ რეფორმებს... პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ აქ საქართველოს სურნელი, სამშობლო გვაკლია. საქართველოში სულის „რემონტისთვის“ ჩამოვდივარ. მინდა, ჩემი სისხლი და ხორცი ვნახო. თუმცა ვარ ისეთ ქვეყანაში, სადაც ჩვენი ფასი იციან. აი, მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა, კაგებე-სგან ძებნილი კაცი გვარად თევზაძე იმალებოდა პოლონეთში. რამდენიმე წელი ეძებეს რუსეთის სპეცსამსახურებმა ერთ-ერთ ქალაქში. პოლონელების უმრავლესობამ იცოდა, რომ გვარგადაკეთებული ქართველი კაცი ცხოვრობდა მათ ქალაქში, სწორედ მას ეძებდა რუსეთის სპეცსამსახურები და არავის დაუბეზღებია.

## დაჯილდოება



**25 ოქტომბერს, თბილისმა ყველაზე მასშტაბურ ბიზნესდაჯილდოებას Marketing Brilliance Awards 2014 უმასპინძლა, რომლის მიზანი ყველაზე ინოვაციური პროექტების გამოვლენა და საუკეთესოს აღიარებაა. ღონისძიების ორგანიზატორი ბრიტანული კომპანია BOC – Global Events Group-ია. ნომინაციაში, წლის საუკეთესო სოციალური პროექტი, „ფონდი ნატახტარი“ დასახელდა.**

# „ფონდი ნატახტარი“ წლის საუკეთესო სოციალურ პროექტად დასახელდა




## თბილისმა მასშტაბურ ბიზნესდაჯილდოებას Marketing Brilliance Awards 2014 უმასპინძლა

მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესდაჯილდოება Marketing Brilliance Awards 2014-ის ორგანიზატორებმა, სხვა სოციალურ პროექტებს შორის, „ფონდი ნატახტარი“ თავად წარადგინეს. ჟიურიმ და ექსპერტებმა კი ფონდის საქმიანობისა და შედეგების კვლევის საფუძველზე, საუკეთესო პროექტად აღიარეს. კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი **თორნიკე ნიკოლაიშვილი** მადლობას უხდის ჟიურის ასეთი აღიარებისთვის და აცხადებს, რომ ეს ჯილდო კომპანიისთვის დამატებითი მოტივაციაა:

**„საამაყოა, როდესაც კომპეტენტური ჟიური, ბევრ საინტერესო სოციალურ პროექტს შორის, შენსას გამოარჩევს. მნიშვნელოვანია, სოციალური პროექტები წელს პირველად განიხილეს, რის გამოც წლის საუკეთესო სოციალური პროექტი პირველად დასახელდა. რაც მთავარია, სხვა სოციალურ პროექტებს შორის, „ფონდი ნატახტარი“ თავად ორგანიზატორებმა წარადგინეს ისე, ამის შესახებ კომპანიაში არაფერი ვიცოდით. საერთაშორისო ჟიურიმ ფონდის საქმიანობასა და შედეგების კვლევებზე დაყრდნობით, გამარჯვებულად დაგვასახელა. მადლობას ვუხდი ასეთი აღიარებისთვის. ეს ჯილდო დამატებითი მოტივაციაა არა მხოლოდ კომპანია „ნატახტარისთვის“, არამედ ფსიქოლოგების, აღმზრდელების, სოციალური მუშაკებისა და ყველა სხვა ადამიანისთვის, რომლებიც ამ პროექტის აღსრულებაში არიან ჩართულნი. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც პროექტის განხორციელებაში წვლილი შეიტანა და განსაკუთრებით მათ, ვინც „ფონდი ნატახტარი“ გამოარჩია“.**

„ფონდი ნატახტარი“ 2011 წლიდან ეხმარება მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში. თანხა ნოემბრიდან თებერვლის მანძილზე გროვდება. სამი წლის განმავლობაში 420 000 ლარზე მეტი შეგროვდა. ამჟამად, ფონდის ფარგლებში 159 ბენეფიციარი შემდეგი მომსახურებით სარგებლობს: ფსიქოლოგიური კონსულტაცია, საგნებში მომზადება, პროფესიული განათლებისა და მართვის მოწმობის მიღება, პროფესიისთვის საჭირო იარაღების/მასალის შეძენა, სტიპენდია (ბინის ქირა, კვება, გზა). თითოეული ბენეფიციარისთვის თანხა მისი საჭიროებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად გამოიყოფა.

პროექტი, საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით, ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ მიერ ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ თანხების გამჭვირვალობა დადასტურებულია საერთაშორისო აუდიტორული კომპანია PricewaterHouse Cooper-ის მიერ.

**„კომპანია „ნატახტარმა“** Business Brilliance Award **2014-ზე ნომინაციაში** — briliansi CSR, **სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. „ფონდი ნატახტარი“ პოზიტიურად ცვლის მზრუნველობამოკლებულ მოზარდთა ცხოვრებას და ამით სხვა მსხვილ კორპორაციებს საუკეთესო მაგალითს აძლევს.** BOC **ულოცავს კომპანია „ნატახტარს“ ამ მნიშვნელოვან ჯილდოს და წარმატებულ საქმიანობას უსურვებს“,** — განაცხადა BOC — Global Events Group-ის მარკეტინგის დირექტორმა, **მაკა ყუფარაძემ**.

Business Brilliance Award ცერემონია და ბიზნესის განვითარების ფორუმი თბილისში უკვე მეორედ ჩატარდა. ფორუმი საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების პროგრესულად მოაზროვნე ლიდერებისთვის, მარკეტინგისა და კომუნიკაციების ექსპერტებისთვისაა განკუთვნილი.




# მანათობელი ვარდი ჰელოუინისთვის



ეს თაიგული დღის სინათლეზე თეთრი ფერისაა, სიბნელეში კი ფოსფორისფრად ანათებს. მომხიბლავი ვარდები მთელი დღის განმავლობაში სინათლეს ისრუტავს. ყვავილების ეს უჩვეულო ჯიში კომპანიამ Interflora გამოიყვანა, მსურველებს კი მათი შეძენა ჰელოუინის დღესასწაულზე შეეძლებათ 44 გირვანქა სტერლინგად. როგორც კომპანიაში აცხადებენ, თაიგული იმ ადამიანებისთვის შექმნეს, რომელთაც ამ დღესასწაულზე ტრადიციული, გოგრისგან შექმნილი დეკორაციები მობეზრდათ და მის ნაცვლად გლამურული წვეულებების გამართვა ურჩევნიათ. Interflora ჯერჯერობით საიდუმლოდ ტოვებს ტექნიკას, რომლის წყალობითაც ვარდები ანათებს.

# ღვინო კატებისთვისაც ჩამოასხეს

ამომავალი მზის ქვეყანაში, მაღაზიებში ახალი პროდუქტი გაჩნდა — ღვინო კატებისთვის, რომელსაც Nyan Nyan Noveau უწოდეს. 180-მილილიტრიანი ბოთლის ღირებულება დაახლოებით 4 დოლარია. მისი ავტორი კომპანია B&H Lifes-ია, რომელიც ცხოველების საკვებს აწარმოებს. ფირმის წარმომადგენელთა განცხადებით, ახალი პროდუქტი იმ კატებისთვისაა განკუთვნილი, რომელთა პატრონებიც განიცდიან, რომ მათი საყვარელი ოთხფეხა მეგობრები მათთან ერთად ვერ ზეიმობენ შობასა თუ დაბადების დღეს. ალკოჰოლი კატების სასმელში, რასაკვირველია, არ არის. ღვინო შედგება კაბერნეს ჯიშის ყურძნის წვენისგან, რომელსაც დამატებული აქვს ვიტამინები, პიტნა და სხვა სასარგებლო ნივთიერებები. კომპანიაში აცხადებენ, რომ სასმელი კლიენტების მრავალრიცხოვანი თხოვნის შემდეგ გამოუშვეს. აღსანიშნავია, რომ ამავე ფირმას ეკუთვნის ძაღლების ლუდი Wan Wan Beer, რომელიც დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს იაპონიაში.



# წყვილმა 80 წლის შემდეგ იქორწინა



პარაგვაელმა მოხუცებულმა წყვილმა, რომელთაც ერთად 80 წელი იცხოვრეს, მხოლოდ ახლა გადაწყვიტეს ამ კავშირის დაკანონება. ინვალიდის ეტლში მჯდომი სასიძომ, 103 წლის მანუელ რიელიამ საუკუნო სიყვარული და ერთგულება შეჰფიცა 99 წლის პატარძალს მარტინა ლოპესს, რომელიც ამ სადღესასწაულო ცერემონიისთვის გრძელ თეთრ კაბაში იყო გამოწყობილი. ქორწილი წყვილის სახლში გაიმართა და ჯვარიც იქვე დაიწერეს. ცერემონიისას მღვდელმა განაცხადა, რომ რიელია და ლოპესი ყველაზე ხნიერი „ახალდაქორწინებულები“ არიან, ვისაც კი ოდესმე იცნობდა. ამ „დაგვიანებულ“ ქორწილს სიძე-პატარძლის 8 შვილი, 50 შვილიშვილი, 5 შვილთაშვილი და 20 შვილთაშვილისშვილი ესწრებოდა.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | | | | | |
| | | | | 1 | 9 | 5 | 4 | |
| | | | | 7 | 6 | 3 | 9 | 8 |
| 2 | | 5 | 6 | 3 | | | | |
| | | | | 4 | | | | |
| | | | | 8 | 5 | 6 | | 1 |
| 3 | 6 | 2 | 1 | 9 | | | | |
| | 5 | 9 | 4 | 6 | | | | |
| | | | | | | | 1 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | | 5 | 9 | 7 | | |
| | 9 | 5 | | | | 3 | 2 | |
| 7 | | | 3 | | | 5 | | |
| | | | 6 | | | | 8 | 5 |
| | | | 1 | | 5 | | | |
| 6 | 5 | | | | 8 | | | |
| | | 8 | | | 6 | | | 2 |
| | 2 | 6 | | | | 9 | 4 | |
| | | 3 | 4 | 1 | | | | 6 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 6 | | | 9 | | 7 |
| | | | 4 | | | | 3 | |
| 7 | | | | | 8 | | | 2 |
| | | 6 | | 1 | | 4 | | 8 |
| 8 | 5 | | | | | | 1 | 9 |
| 2 | | 9 | | 5 | | 7 | | |
| 6 | | | 3 | | | | | 5 |
| | 8 | | | | 2 | | | |
| 9 | | 7 | | | 6 | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 2 | | 1 | | 9 | |
| 3 | 2 | 5 | | | | | | |
| | 8 | | | | 4 | 6 | | |
| 6 | 5 | | | 2 | 9 | | | |
| | | | 1 | | 6 | | | |
| | | | 3 | 5 | | | 6 | 4 |
| | | 1 | 8 | | | | 4 | |
| | | | | | | 3 | 8 | 6 |
| | 6 | | 7 | | 5 | 1 | | |

## ადამიანს ნიჭი თვალებში ეტყობა



როგორც აღმოჩნდა, ადამიანის ნიჭისა და სხვადასხვა შესაძლებლობის აღმოჩენა ტესტირებისა თუ სხვა გამოკითხვების გარეშეც ყოფილა შესაძლებელი — საკმარისია, თვალებში ჩახედოთ და მისი თვალის ფერი გაიგოთ. როგორც ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, ყველაზე ნიჭიერები ცისფერთვალება ადამიანები არიან. ლუისვილის უნივერსიტეტის მკვლევარებმა უნიკალური ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობა რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო. ისინი ერთი კრიტერიუმით — ცისფერი თვალების გამო შეარჩიეს. აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები ცხოვრებაში უფრო წარმატებულები იყვნენ, ვიდრე სხვა ფერის თვალის მქონე მოხალისეები. გაირკვა ისიც, რომ საკუთარი კარიერითა და ფინანსური მდგომარეობით კმაყოფილი ყავისფერთვალიანი ადამიანები გაცილებით ცოტანი იყვნენ. მკვლევარები ასევე მიიჩნევენ, რომ ცისფერთვალა ხალხი წარმატებულია მძიმე პროფესიების ათვისებასა და სწავლაში. ისინი მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩევიან და ადვილად იგებენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების გულს. ცისფერთვალა ადამიანებს ხშირად უმართლებს სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ჰოკეი და გოლფი. ჯერჯერობით მეცნიერებმა ვერ მოუძებნეს ახსნა აღმოჩენილ ფენომენს, ამოცანის ამოხსნას ისიც ართულებს, რომ თვალის ფერი მემკვიდრეობით გადაეცემა, მაგრამ რთული გენეტიკური კომბინაციების შედეგია და ხშირად, რამდენიმე თაობის შემდეგ ვლინდება.



## მაღაზიაში დასაძინებლად დადიან

ავეჯის მაღაზიის უზარმაზარ სალონებში სიარულისას, უამრავ ადამიანს უნებურად უჩნდება აზრი, რომ ცუდი არ იქნებოდა, რომელიმე რბილ დივანზე ან საწოლზე წამოგორდეს და თვალი მოატყუოს. ასეთი გრძნობა თუ ხშირად გიჩნდებათ, ან კარგად უნდა გამოიძინოთ, ანდა ჩინეთში გაემგზავროთ საძინებლის გარნიტურისთვის. რატომ ჩინეთში? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იქ უფრო იაფია. მეორეც ცნობილი ფირმის IKEA–ს ავეჯის მაღაზიის სტუმრები სულ არ ერიდებიან გასაყიდ პროდუქციაზე წამოწოლას და თვლემას. ყოველწლიურად კომპანიის საგამოფენო ცენტრს მილიონობით ადამიანი სტუმრობს, რომელთაგან ალბათ მეათედი თუ ყიდულობს რამეს, დანარჩენები კი დასაძინებლად მიდიან. ზოგი სტუმარი დილით მოდის და საღამოს, მაღაზიის დაკეტვის წინ მიდის, — ამბობენ ფირმის შანხაის ფილიალის დაცვის თანამშრომლები. მომსახურე პერსონალი უკმაყოფილოა მსგავსი „კლიენტებით“, თუმცა, კომპანიის ხელმძღვანელობა ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს და არ უშლის სალონში დაძინებას ახალი ბალიშების ან მატრასის „შესამოწმებლად“ მისულ ადამიანებს. ფირმაში დარწმუნებულნი არიან, რომ ოდესმე მათაც გაუჩნდებათ მოხმარების სურვილი და აუცილებლად შეიძენენ სასურველ ავეჯს.

## ხელის დაბანა თავდაჯერებულობას მატებს

გერმანელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ხელის დაბანა ადამიანს ცოტა ხნის წინ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე ეჭვებისგან ათავისუფლებს. კიოლნის უნივერსიტეტის ფსიქოლოგების მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში 98 მოხალისე მონაწილეობდა — ისინი სამ ჯგუფად დაყვეს. პირველ ორ ჯგუფს სპეციალურად შერჩეულ დავალებას აძლევდნენ, რომელსაც ვერც ერთი მონაწილე ვერ უმკლავდებოდა. ამის შემდეგ მათ განწყობას აფასებდნენ; მეორე დავალება გაცილებით მარტივი იყო. ამასთან, პირველი ჯგუფის მონაწილენი პირველი დავალების შემდეგ ხელს იბანდნენ. მესამე ჯგუფის წევრებს მხოლოდ მეორე დავალების შესრულება ევალებოდათ. ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით, მოხალისეები, ვინც ხელს იბანდა უსიამოვნო „ჩავარდნის“ შემდეგ, უფრო ოპტიმისტურად აფასებდნენ საკუთარ შანსს მეორე ტესტირებაში. თუმცა, მას უფრო ცუდად ართმევდნენ თავს, ვიდრე „ხელდაუბანელი პესიმისტები“. მესამე ჯგუფის წევრები „ოპტიმისტების“ დონეზე იყვნენ. აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ ხელების დაბანა უსიამოვნო შთაბეჭდილებებისა და მოგონებების „წაშლის“ საშუალებას იძლევა, თუმცა, აქვეითებს მოტივაციას, მეტი ენერგია დაახარჯონ დავალების შესრულებას.



## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 3 | 5 | 8 | 2 | 7 | 4 | 1 |
| 7 | 8 | 5 | 4 | 6 | 1 | 9 | 3 | 2 |
| 4 | 2 | 1 | 9 | 3 | 7 | 8 | 6 | 5 |
| 5 | 1 | 2 | 3 | 4 | 8 | 6 | 7 | 9 |
| 3 | 7 | 9 | 6 | 2 | 5 | 4 | 1 | 8 |
| 8 | 6 | 4 | 7 | 1 | 9 | 5 | 2 | 3 |
| 2 | 5 | 8 | 1 | 7 | 6 | 3 | 9 | 4 |
| 1 | 3 | 7 | 8 | 9 | 4 | 2 | 5 | 6 |
| 9 | 4 | 6 | 2 | 5 | 3 | 1 | 8 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 5 | 7 | 6 | 3 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 3 | 1 | 9 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 2 | 1 | 4 | 3 | 9 |
| 3 | 1 | 4 | 2 | 9 | 7 | 8 | 5 | 6 |
| 6 | 5 | 2 | 1 | 8 | 4 | 9 | 7 | 3 |
| 9 | 8 | 7 | 3 | 5 | 6 | 1 | 4 | 2 |
| 7 | 6 | 3 | 8 | 1 | 9 | 5 | 2 | 4 |
| 5 | 4 | 9 | 6 | 7 | 2 | 3 | 8 | 1 |
| 1 | 2 | 8 | 4 | 3 | 5 | 6 | 9 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | 3 | 5 | 8 | 9 | 2 | 7 | 6 |
| 2 | 6 | 5 | 1 | 7 | 4 | 8 | 9 | 3 |
| 9 | 8 | 7 | 3 | 2 | 6 | 5 | 1 | 4 |
| 3 | 5 | 1 | 7 | 9 | 2 | 6 | 4 | 8 |
| 8 | 9 | 4 | 6 | 1 | 5 | 3 | 2 | 7 |
| 7 | 2 | 6 | 4 | 3 | 8 | 1 | 5 | 9 |
| 6 | 7 | 2 | 9 | 5 | 3 | 4 | 8 | 1 |
| 5 | 4 | 9 | 8 | 6 | 1 | 7 | 3 | 2 |
| 1 | 3 | 8 | 2 | 4 | 7 | 9 | 6 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 4 | 9 | 8 | 6 | 2 | 5 | 7 | 3 | 1 |
| 7 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 | 2 | 9 | 8 |
| 5 | 3 | 1 | 2 | 7 | 9 | 8 | 4 | 6 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 1 | 4 | 9 | 2 | 3 |
| 2 | 4 | 9 | 3 | 6 | 8 | 1 | 7 | 5 |
| 6 | 5 | 3 | 8 | 9 | 2 | 4 | 1 | 7 |
| 1 | 2 | 7 | 4 | 5 | 6 | 3 | 8 | 9 |
| 9 | 8 | 4 | 7 | 3 | 1 | 5 | 6 | 2 |

მე-10 გვერდი: 1. აგვისტო; 2. ჰექტარი; 3. აკვარიუმი; 4. ვანილი; 5. სპიროქეტა; 6. ოდინი; 7. ჰეტერა; 8. ქეიბური; 9. ალიმენტი; 10. იდილია; 11. ავენტინი; 12. იდა; 13. ისრიმი; 14. ნომადიზმი; 15. სტეინიცი; 16. იმპიჩმენტი; 17. ფანტა; 18. ლია; 19. ტრილიონი; 20. ოქსიდი; 21. ტრიუფელი; 22. ნარმა; 23. რემა; 24. სიპი; 25. „პინტა“; 26. არული; 27. ძუა; 28. ოიტა; 29. ანოფელესი; 30. იაგო; 31. მადამ; 32. ამულეტი; 33. ოსირისი; 34. ჩიჩია; 35. ტირე; 36. ალა; 37. აია; 38. ინი; 39. უმი; 40. სერ; 41. ამპულა; 42. ნოღაი; 43. ლუზა; 44. დიეგო; 45. ონო; 46. გეა; 47. არნო; 48. სარა; 49. მჯიღი; 50. საკე; 51. სიო; 52. დუჩე; 53. ნონა; 54. ერბო; 55. ლიე; 56. სე; 57. ბიზე; 58. ტახი; 59. ასტანა; 60. ერინია; 61. აჯა; 62. ტუია; 63. თებე; 64. თითი; 65. ლისეო; 66. ყბა.

მე-12 გვერდი: 1. ბლანმანჟე; 2. არბიტრი; 3. ბრიოლოგია; 4. ალქიმია; 5. მუფლონი; 6. რეჩიტატივი; 7. ინსულინი; 8. „რერო“; 9. ალემაო; 10. ემულსია; 11. ფიქრია; 12. ჩოსერი; 13. ირიდიუმი; 14. ოჯალეში; 15. ჯორი; 16. ომი; 17. შეკელი; 18. ტალი; 19. გუაში; 20. ლუდი; 21. ლია; 22. ასალი; 23. ტენი; 24. მანგო; 25. როტერდამი; 26. „შტურმი“; 27. ვასაკა; 28. ესტრადა; 29. ალაზანი; 30. ალმასი; 31. არაბი; 32. ტასმანი; 33. არისტოტელე; 34. არკა; 35. მოა; 36. იავა; 37. „მაიკროსოფტი“; 38. „ალიტალია“; 39. პიტნა; 40. იასი; 41. სარი; 42. იური; 43. პუდრი; 44. მისის; 45. აკრი; 46. ასტრა; 47. ზორგე; 48. კორიდა; 49. რომი; 50. ბმო; 51. ნოინი; 52. მირტი; 53. დურუ; 54. ბონსაი; 55. როი; 56. რაფაელი; 57. დოინა; 58. ნეო; 59. მინტაი; 60. გირაო; 61. იოფე; 62. ილი; 63. როლი; 64. იმედი; 65. უხა; 66. აბაი; 67. რაფსი; 68. ინა; 69. ლეო; 70. გარნირი; 71. სინიორა; 72. რეი; 73. ენოტი; 74. ათი; 75. ხარო; 76. ახო; 77. ია; 78. მერილენდი; 79. ფენი; 80. ირაო; 81. ოდა; 82. სირ; 83. რაგუ; 84. ნიკარაგუა.

## ქმრის ქორწილის შესახებ Facebook-ით შეიტყო

ბრიტანელმა ივონი გიბნიმ საკუთარი მეუღლის, მორის გიბნის ახალ ქორწინებაზე სოციალურ ქსელ Facebook-ში განთავსებული ფოტოებიდან შეიტყო. ფოტოზე მოტყუებული ცოლის ქმარი ცხოვრების ახალ თანამგზავრს ვნებიანად კოცნიდა. აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ შარშან მისტერ გიბნიმ ომანში იქორწინა, სადაც ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს. სადღესასწაულო ცერემონიაზე სიძის ახლობლებიც იმყოფებოდნენ, რომელთაც განუცხადა, რომ პირველ ცოლს გაშორდა. ივონისა და მორისის ქორწინება 17 წელს გრძელდებოდა. მოტყუებულმა ქალმა სასამართლოს მიმართა, რომელმაც მისტერ გიბნი ორცოლიანობაში დაადანაშაულა და ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# გურამ ფირცხალავა გარდაიცვალა

74 წლის ცნობილი მსახიობი ბოლო პერიოდში ავადმყოფობდა. იგი მძიმე სენით იყო დაავადებული და რამდენიმე თვე ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო.

ფირცხალავა 1940 წლის 18 თებერვალს ფოთში დაიბადა. 1966 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. 1966 წლიდან მუშაობდა გორის გ. ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში, შემდეგ კი თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. 1972 წლიდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი იყო.

გურამ ფირცხალავას კინოფილმებსა და სპექტაკლებში ბევრი როლი აქვს შესრულებული.

***ვერსია“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გურამ ფირცხალავას გარდაცვალების გამო და უთანაგრძნობს მის ოჯახსა და სრულიად საქართველოს!***



გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს. საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

## გართობა



1. (ძვ.) იგივეა, რაც პერანგი
2. ზამშისმაგვარი ტყავი
3. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი
4. მეხუთე მუსიკალური ინტერვალი
5. პოლონეთის დედაქალაქი
6. ძაღლებშებმული გრძელი და ვიწრო მარხილი
7. კაბის გრძელი უკანა კალთა
8. აშშ-ის შტატი
9. ბიოლოგიური სისტემების გაღიზიანება
10. ვრცელი ველები ჩრდილოეთ ამერიკაში
11. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
12. თვითმფრინავების ფრენის მარშრუტი
13. თქმულება ღმერთების შესახებ
14. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
15. ბანქოს ერთგვარი თამაში
16. შეპასუხება, წამოძახილი
17. რომის პაპის გვირგვინი
18. სომხეთის ფულის ერთეული
19. სოფელი ონის რაიონში
20. ბურღების საბრუნებელი მექანიზმი
21. ქართველი პოეტი სევერიან ...
22. თურქი ჯარისკაცი
23. ხორვატიის კუნძული
24. უადგილოდ თამამი, ზღვარგადასული
25. სოკოს გამრავლების ორგანო
26. ხორბლის ფქვის შუალედური პროდუქტი
27. აშშ-ის შტატი
28. „ყანის დედოფლად“ წოდებული მცენარე
29. მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა ქუდი
30. გურამ ფანჯიკიძის რომანი „მეშვიდე ...“
31. დანიის ადმინიტრაციულ-ტერიტორიული ერთეული
32. ძიუდოს დამფუძნებელი ... კანო
33. დიოგენეს საცხოვრებელი
34. წამლის ბურთულა
35. მრავალნაწილიანი ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოები
36. ქალაქ ოსლოს ძველი სახელწოდება
37. მიწისძვრით დანგრეული სომხეთის ქალაქი
38. ნაბიჯი ბალეტში
39. სოფელი ყაზბეგ. რ-ში
40. ირლანდიის თვითსახელწოდება
41. მდინარე ავსტრიაში
42. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი
43. მეფე არტურის სასახლე
44. ლეგენდარ. ფრანგი ავტომრბოლელი
45. ხელოვნური საერთაშორისო ენა
46. სასვენი ნიშანი
47. „ყველა არსის“ შემქმნელი ღმერთი ძვ. ეგვიპ.
48. ფართობის ერთეული, ჰექტრის მეასედი
49. შეიარაღებუ-ლი დაცვა
50. კუნძული ჩინეთთან
51. მიზანში სროლაში სავარჯიშო დაწესებულება
52. კედლის ჭაღი
53. რბილი ჭედადი ლითონი
54. პატარა სასადილო იტალიაში
55. კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა
56. თხელი საფლობი ტალახი
57. ცენტრალური მცველი ფეხბურთში
58. ნახევარკუნძ. ჩრდ. ამერიკაში
59. ზიდანის მეტსახელი
60. საბავშვო თამაშობა ერთგვარი
61. რკინის კანცლერის, ბისმარკის სახელი
62. პირენეის ნახევარკუნძულის ერთ-ერთი სახელწოდება
63. გალაქტიონის მუზა
64. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია
65. გოგოლის კომედია
66. შრეკის სატრფო
67. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
68. უსიტყვოდ, გულამოსკვნით ტირილი
69. სოკოს ქსელი საკ-ვებ პრო-დუქტებზე
70. ვლადიმერ ნაბოკოვის რომანი
71. ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი
72. ფ. მერკურის ჯგუფი
73. ალოეს ქართ. სახელწ.
74. ცალკე „ოთახი“ მატარებლის ვაგონში
75. ტოპმოდელი ... მაკფერსონი
76. 1000 კგ
77. ერთი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ინგლისური ოქროს ფული
78. მაუგლის მეგობარი პითონი
79. ქართული ანბანის IV ასოს სახელწოდება
80. ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი
81. ვემის მზარეული
82. პლ. სამანიშვილის სიძე
83. შოტლანდიელი მწერლის ჯეიმზ ბარის მიერ გამოგონილი პერსონაჟი პიტერ ...
84. ორი წერტილი კამათელზე
85. უმად შეკაზმული ნიგვზის წვენი
86. ტბა აფრიკაში
87. კორეული ავტომარკა
88. გაზაფხულის ყვავილი

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.